ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ბიზნესსექტორში საშუალო თვიური ხელფასი 51,4 ლარით გაიზარდა



გვ.6

## ლარი გამყარდა

6 დეკემბრიდან

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

შტეფან ცვაიგი

მოუთმენლობა გულისა

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



სამშაბათი, 6 დეკემბერი, 2016 №289 (7214) ფასი: 50 თეთრი

# „ქართული ოცნება" დავით ნარმანიას წინააღმდეგ



გვ.2

მერიის თანამშრომლები დანა-ჩანგლის დაჭერას ბიუჯეტის ხარჯზე სწავლობენ





გვ.3

## დავით დარჩიაშვილი ნაცმოძრაობიდან გარბის

ოთარ კახიძე: „დათა ახალაიას დაჯგუფება თავს გვესხმის"

„საქართველოში მილიარდობით დოლარის ინვესტიციები შემოვა"

## გიორგი გაჩეჩილაძე: „მომავალ წელს ლარი ძალიან სწრაფად გამყარდება"



გვ.6

## კახა კუკავა: „საქართველო იმის ღირსია, რაც მის თავს ხდება"



გვ.5

## აუდიტის სამსახურმა პარტიებს 250.000 ლარის ჯარიმა დააკისრა





გვ.3



გვ.3

## ზვიად ძიძიგური: „ფასების ზრდა მოსახლეობას არ შეაწუხებს"



გვ.5

## მიხეილ ყაველაშვილი: „დეპუტატობა ჩემთვის ახალი გამოწვევაა"



გვ.4

## გია ყარამანაშვილი: „ყველა სცენარისთვის მზად ვართ, რუსთავი 2 ბოლო ბასტიონია"

„ხელისუფლება ხალხს კომბლების რევოლუციისკენ უბიძგებს"

## ბესო დანელია: „საპარლამენტო უმრავლესობა პრემიერს ტყუილში ადანაშაულებს"



გვ.4

ISSN 1987-9385

„ჩვენი ხელისუფლების გეგმა უცხოელმა ექსპერტებმაც მოიწონეს"

## გიგა ბოკერია: „მოსახლეობას პანიკაში ტყუილად აგდებენ"



გვ.2

ლურჯი ნითელი ყვითელი შავი

# გიგა ბუკია: „მოსახლეობას პანიკაში ტყუილად აგდებენ“

## „ჩვენი ხელისუფლების გეგმა უცხოელმა ექსპერტებმაც მოიწონეს“

მარიამ მჭედლიშვილი



საქართველოს ეკონომიკაში შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ პარლამენტის უმრავლესობის წევრ **გიგა ბუკიას** ესაუბრა.

***– თქვენი ოპონენტები საქართველოში სოციალურ აფეთქებას პროგნოზირებენ, ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი ეკონომიკის განვითარების 10-პუნქტიან გეგმას კი ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს.***

– საქართველოში სოციალური აფეთქება მოსალოდნელი არ არის. დავიწყოთ იმით, რომ პრობლემები, რომლებიც ლარის კურსს შეექმნა, გამომდინარეობს რეგიონსა და საერთაშორისო მასშტაბით შექმნილი მდგომარეობიდან. ხელისუფლებამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად შეიმუშავა კონკრეტული გეგმა. ეს გეგმა მოიწონეს უცხოელმა ექსპერტებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა. აშშ-ის ელჩის განცხადებაც ამას ადასტურებს.

***– მოსახლეობისთვის ეს საკმარისია?***

– მოსახლეობამ იცის, რომ შექმნილი რეალობა არაა საქართველოს ხელისუფლების ბრალი. მდგომარეობა გამოსწორდება და მოხდება ეკონომიკის სწრაფი განვითარება, რაც ამ ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

სოციალური აფეთქებები საერთოდ არ არის დამახასიათებელი საქართველოსთვის. სააკაშვილის რეჟიმის დროსაც სხვა საკითხების გამო გამოდიოდა ხალხი ქუჩაში. ადამიანები აპროტესტებდნენ იმას, რომ მაშინდელი ხელისუფლება ადამიანებს რეპრესიებს უწყობდა, თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას უსპობდა და ქონებას ართმევდა.

ახლა ეს აღარ ხდება. კარგად ვიცი, რომ მოსახლეობას უჭირს, ჯერ კიდევ არსებობს სოციალური პრობლემები, მაგრამ წინა წლებთან შედარებით ეკონომიკაში მაინც წინსვლაა და მთავრობის პრიორიტეტი ახლა ესაა.

***– ოპონენტები ასე არ ფიქრობენ.***

– ოპონენტებს არ უნდათ იმის აღიარება, რომ ჩვენ ჩავიბარეთ დაშლილი ეკონომიკა, დაშინებული და განადგურებული ბიზნესი. ამის გამოსასწორებლად ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. თუ აქამდე ყურადღება გადატანილი იყო სასამართლოს გათავისუფლებაზე, ძალოვანი უწყებების დეპოლიტიზაციაზე და სხვა, ახლა უფრო მეტი დრო დაეთმობა ეკონომიკის განვითარებას.

***– გეგმის ერთ-ერთი პუნქტით, ადმინისტრაციული ხარჯები 10%-ით მცირდება. ბევრი მიიჩნევს, რომ ეს არასაკმარისია.***

– ოპონენტებს ადრეც მოუწოდებიათ ჩვენთვის, საგრძნობლად შეგვემცირებინა ადმინისტრაციული ხარჯები. რომ ვთავაზობდით კონკრეტული მუხლების დასახელებას, თუ რისთვის და ვისთვის უნდა მოგვეკლო ხარჯები, ამაზე ვერ გვპასუხობდნენ. ვერაფრით ვერ შევუმცირებთ ხელფასებს პედაგოგებს, სოფლების რწმუნებულებს, ექიმებსა და პოლიციელებს.

ვამცირებთ ხარჯებს მთავრობის ზედა ეშელონებში. ესაა მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეიძლება. რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, მას შემდეგ ბიუჯეტი გამჭვირვალე გახდა. ნაციონალების დროს ბევრი რამ დაფარული იყო. ეს აძლევდა საშუალებას ნაციონალურ მოძრაობას, მილიონები მოეპარა. რომ ამბობენ, მივლინებებში ბევრი იხარჯებაო, ეს არასწორია. პარლამენტისა და მთავრობის დელეგაციებისა და წევრების მივლინებები ქვეყანას სჭირდება. ოჯახის წევრები სახელმწიფოს ხარჯზე წინა ხელისუფლების წევრებს დაჰყავდათ. ახლა ამგვარი რამ აღარ ხდება.

***– საკამათო გახდა გეგმის ის პუნქტიც, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან სესხების კონვერტაციისთვის სუბსიდიების გამოყოფას ითვალისწინებს.***

– სახელმწიფო სოციალური თანადგომის გზას დაადგა. ესაა მძიმე ტვირთის შემსუბუქება იმ მოქალაქეებისთვის, რომლებსაც სესხები დოლარებში აქვთ აღებული. საყოველთაო ჯანდაცვაც ხომ სოლიდარობაა! აქაც ეს მიდგომაა.

***– არ შეიძლება, რომ ნავთობპროდუქტებზე მაინც არ გაიზარდოს აქციზი? ეს ხომ ფასების ზრდას გამოიწვევს?***

– მესმის მათი, რომლებსაც ეს აწუხებს. საქმე ისაა, რომ ეს განზრახვა აუცილებლობითაა გამოწვეული. თანაც, ეს არ ნიშნავს ყველაფრის გაძვირებას. თურქეთში, მაგალითად, ძალიან ძვირია საწვავი, მაგრამ იქ კრიზისი არ შეინიშნება და არც დანარჩენი პროდუქციაა გაძვირებული.

ნავთობპროდუქტები იმპორტირებული საქონელია, ამიტომ დღის წესრიგში დადგა მისი აქციზის გაზრდა. ეს თანხები მიმართული იქნება ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, რაც, თავის მხრივ, პოზიტიურად იმოქმედებს დასაქმებასა და ტურიზმის განვითარებაზე.

ჩვენ ბიზნესს ვათავისუფლებთ მოგების გადასახადისაგან. ესე იგი, ამ წყაროდან ბიუჯეტს თანხები დააკლდება. ეს თანხა სხვა გზით უნდა შეივსოს. 4 წლის განმავლობაშიც ბევრი გზა დაიგო. ახლაც დიდი გეგმებია ამ თვალსაზრისით. მთლიანობაში გათვალისწინებულია 800 კილომეტრის მოცულობის გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია. სხვანაირად ვერც ტურისტებს მოვიზიდავთ და საქართველო ვერ შეასრულებს თავის ფუნქციას აბრეშუმის დიდ გზაზე. საუბარია მთლიანად ეკონომიკის სწრაფ განვითარებაზე.

***– ლარის კურსზე რას იტყვით?***

– ლარის კურსის სტაბილიზაციისთვის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა დედოლარიზაციის პროცესი. ლარის კურსის ვარდნამ დააზარალა ის მოქალაქეები, რომლებსაც კრედიტები დოლარებში აქვთ აღებული. დანარჩენ ხალხს ზარალი არ განუცდია.

ადამიანებს ტყუილად აგდებენ პანიკაში. როცა ადამიანს დოლარში არც შემოსავალი აქვს და არც ხარჯი და ეს პროცესები ფასებზე არ ასახულა, მისთვის კურსს განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს. ასეთი პროცესებია თურქეთშიც. ფასებზე ეროვნული ვალუტის გაუფასურება თურქეთშიც არ ასახულა. ჩვენს მოსახლეობას საპანიკო არაფერი აქვს. ხელისუფლების გეგმა ხელს შეუწყობს მდგომარეობის სტაბილიზაციას და ეკონომიკის განვითარებას.

# „ქართული ოცნება“ დავით ნარმანიას წინააღმდეგ

## მერიის თანამშრომლები დანა-ჩანგლის დაჭერას ბიუჯეტის ხარჯზე სწავლობენ

შორენა მარსაგიშვილი



დედაქალაქის მერი დავით ნარმანია თბილისელების გაოცებას აგრძელებს. მიუხედავად იმისა, რომ ათასნაირი ტენდერი აქვს გამოცხადებული, მის ფანტაზიას საზღვარი არ აქვს. ამჯერად მან თანამშრომლების დახვეწა მოინდომა.

ამაში ერთი შეხედვით უცნაური არაფერია, მაგრამ როცა ბავშვები შიმშილით იხოცებიან, თანამშრომლებს დანა-ჩანგლის დაჭერა ბიუჯეტის ხარჯზე არ უნდა ასწავლო.

ნარმანიას მონდომებამ, ერის და ოპოზიციის გარდა, საპარლამენტო უმრავლესობის აღშფოთებაც გამოიწვია.

რუსთავი 2-ის მიერ მომზადებული სიუჟეტიდან ცნობილი გახდა, რომ ჩაცმისა და სუფრასთან მოქცევის წესებს მერიისა და საკრებულოს 38 თანამშრომელს შეასწავლიან, რის შემდეგაც ისინი რჩევებს უკვე სხვებს მისცემენ.

მხოლოდ პედაგოგის მომსახურება თბილისის ბიუჯეტს 7.200 ლარი დაუჯდება. სატენდერო დოკუმენტაციაში ნათქვამია, რომ მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებს მასწავლებელმა სუფრასთან მოქცევის წესები უნდა ასწავლოს.

ამას დაემატება ქალაქგარეთ გაკვეთილების ჩასატარებლად 40-ზე მეტი ადამიანის ტრანსპორტირების, კვების, სასტუმროში ცხოვრების და საკონფერენციო დარბაზის დაქირავების ხარჯიც, რაც ჯამში ათობით ათას ლარს გადააჭარბებს.

მერიასა და საკრებულოში ამ თემაზე საუბარს გაურბიან. მხოლოდ იმას ამბობენ, რომ კარგი მანერები საჭიროა.

უფრო რადიკალური განწყობა აქვს საპარლამენტო უმრავლესობას. დახვეწილობის კურსების გახსნას ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერი მამუკა მდინარაძეც გმობს.

ფრაქციის თავმჯდომარე მერიის თანამშრომლებს ურჩევს, ბიუჯეტის პროექტს გადახედონ.

– რა უნდა გითხრათ, კონკრეტული თანამდებობის პირებს ვურჩევდი, რომ მსგავს დოკუმენტებში უფრო საფუძვლიანად ჩაიხედონ, რომ მსგავსი საკითხები აქტუალური არ გახდეს. ვერ ვიტყვი, რომ ეს ძალიან კარგია, გულწრფელი არ ვიქნები. ჩაიხედონ და ნახონ, თანხები რას ხმარდება. ბუნებრივია, ტრეინინგები საჭიროა, მაგრამ კონკრეტულ დეტალებზე ყურადღების გამახვილება საჭიროა, – აღნიშნა მამუკა მდინარაძემ.





საპარლამენტო ოპოზიცია დახვეწილობის კურსების გახსნას ამორალურად აფასებს. დეპუტატ ოთარ კახიძის განმარტებით, დაუშვებელია, მერიის თანამშრომლებისთვის დანა-ჩანგლის დაჭერის სასწავლებლად ბიუჯეტმა რამდენიმე ათასი გადაიხადოს.

– მაშინ, როდესაც დედაქალაქის მცხოვრებლებს აქვთ უმძიმესი სოციალური პრობლემები, რომელიც მერიის პირდაპირი მოვალეობაა, რომ მოაგვაროს, ამ დროს მერიის თანამშრომლებზე იხარჯება ათი ათასობით ლარი იმისთვის, რომ მათ ისწავლონ, რომელ ხელში დაიჭირონ დანა-ჩანგალი და იარონ დახვეწილობის კურსებზე, როგორც ერთ-ერთ პოპულარულ სერიალშია, ეს არის ამორალური. საზოგადოებამ კარგად უნდა იცოდეს, რა ხელისუფლებასთან აქვს საქმე, – აღნიშნა ოთარ კახიძემ.

არასაპარლამენტო ოპოზიცია კიდევ უფრო რადიკალურია. სამოქალაქო პლატფორმა „ახალი საქართველო“ ისე აღშფოთდა, რომ მისი ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი კინაღამ დახვეწილობის ჩარჩოებიდან ამოვარდა.

– მოსახლეობამ უნდა იხადოს ფული იმაში, რომ ნარმანიამ ისწავლოს, რომელ ხელში დაიჭიროს ჩანგალი და რომელ ხელში დანა. ეს იმ დროს, როცა თბილისში, ისევე, როგორც მთელს ქვეყანაში, კატასტროფულად იზრდება სოციალურად დაუცველ ადამიანთა რაოდენობა.

თუ 2015 წელს თბილისში შემწეობას იღებდა 68.000 ადამიანი, 2016 წლის ოქტომბრის მონაცემებით ასეთია 94.939 ადამიანი ანუ 25.994 ადამიანით მეტი, ვიდრე გასულ წელს. ამ დროს სამარცხვინოა დახვეწილობის კურსების გახსნა, მოვუწოდებ მერიას, შეეშვას ჩუკენობას, – განაცხადა ხაბეიშვილმა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით დარჩიაშვილი ნაცმოძრაობიდან გარბის

## ოთარ კახიძე: „დათა ახალაიას დაჯგუფება თავს გვესხმის“

შორენა მარსაგიშვილი

ყოფილ ხელისუფლებას მძიმე დღეები უდგას. ნაციონალური მოძრაობის წევრების სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული მოთქმა-გოდებიდან ნათლად ჩანს, რომ ნაციონალები უკვე ერთმანეთზე იწევენ. არადა, სულ ახლახან ერთად იგერიებდნენ ოპონენტების ნასროლ კვერცხებს და ქვებს.

პარტიაში უკვე აღიარებენ, რომ ისინი 2 ბანაკად გაიყვნენ – მიშისტებად და ბოკერიასტებად. რომელია ამათგან მენშევიკი და რომელი ბოლშევიკი, 20 იანვარს გამართულ ყრილობაზე გაირკვევა. მანამდე კი, შესაძლოა, დიდი შიდაპარტიული ცემა-ტყეპის მომსწრენი გავხდეთ.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით დარჩიაშვილი ამბობს, რომ მას დახვედრით და ცემით ემუქრებიან. მასზე ნაციონალების ერთ ნაწილს ხელები მხოლოდ იმიტომ აექავა, რომ დარჩიაშვილი სააკაშვილის გადადგომას ითხოვს.

უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ის მიიჩნევს, რომ სააკაშვილი პარტიის შიდა მართვაში არ უნდა მონაწილეობდეს, სანამ საქართველოში არ ჩამოვა.

თუ ყრილობა სხვაგვარ გადაწყვეტილებას მიიღებს, დარჩიაშვილი პარტიიდან წავა. დარჩიაშვილს ისეთი გულსაკლავი სიტყვებით აქვს სტატუსი დაწერილი, აშკარაა, დიდი თავდასხმის ობიექტად არის ქცეული.

ეტყობა, გული უგრძნობს, რომ გაილახება და ამიტომაც მისი ცემის მსურველებს „სტრელკას“ უნიშნავს.

– ვაჰ, რა შემოტევაა. ზოგმა – მოღალატეო, ზოგმა – სიტყვის გამტეხიო, მანდატს თავზე დაგახევთო, მიშას შეუცვლელად თვლიდი, ახლა დაგავიწყდაო. ერთი პირობა, იფიქრებს კაცი, გავეშვა, რაც უნდა ის უთქვამთ თუ უქნიათ. მაგრამ რახან განგებამ ფბ-ზე დაგვაკავშირა, ერთად გეტყვით და მერე ყველამ თავისი არჩევანი გააკეთოს:

1. ყრილობაზე „ბილეთი“ დელეგატის მანდატია ხომ? ვთქვი არ ავიღებ-თქო და არ ავიღებ. ამით მოხდება ის, რომ კენჭისყრაში მონაწილეობას არ მივიღებ. იქ თუ მაინც მოვედი, ეს პარტიული მეგობრების სურვილით მოხდება – თუ მეტყვიან, რომ აზრი უნდა გამოვხატო. თქვენც გაგეხარდებათ: საშუალება მოგეცემათ, თქვენი ვაჟკაცობა ცხადში დაადასტუროთ, თორემ ფბ-ზე მუქარები რა საკადრისია?

2. კი, მიშა და ნაციონალური მოძრაობა ერთიანად მიმაჩნდა 2015 წლის დასაწყისში (მიტრიალებენ ძველ პოსტსა თუ კომენტარს, ადრე ასე ფიქრობდი და ახლა დაგავიწყდაო). მერე რა გინდათ, ამით რომ თქვათ? ამის მერე ხდება ისეთი მოვლენები, რამაც 2016 წლის არჩევნების შემდეგ მიმიყვანა აზრამდე, რომ მიშა უნდა დარჩეს ენმ-ს დამფუძნებლად (ისტორიაა, ამას ვერავინ შეცვლის), დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ისტორიულ სიმბოლოდ, ქვეყნის მესამე პრეზიდენტად, მაგრამ, სანამ იგი არ ჩამოვა, პარტიის შიდა მართვაში არ უნდა მონაწილეობდეს. არ გამოდის სხვაგვარად პარტიის ფუნქციონირება: ინტრიგების, დაპირისპირებების მეტს არაფერს უწყობს ეს ხელს. გადაწყვეტს ყრილობა სხვანაირად? ანუ მოხდება ენმ-ში შიდაპარტიული რევოლუცია? კი, ბატონო: მე, ალბათ, გავალ უკვე პარტიიდანაც.

ალბათ-თქო, იმიტომ ვამბობ, რომ ვის შეხედულებებსაც პარტიის ტაქტიკაზე დღეს ვიზიარებ, არ მინდა მივატოვო უმცირესობაში. თუმცა, არა მგონია, განსხვავებული აზრის ატანა მოხდეს ყრილობის შემდგომ ენმ-ში და ალბათ ყველას გასვლა აჯობებს, ვინც ყრილობის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმება. ეს არის და ეს.

ახლა კი გთხოვთ, ემოციები დაიოკეთ და



უზრდელურ კომენტარებს ნუ დაწერთ. თუ ვერ იოკებთ, თავდასხმა გინდათ, არსად არ გავრბივარ. შეგიძლიათ მიპოვნოთ პარტიის ოფისში (ჯერჯერობით), ილიას უნივერსიტეტში, „დამიპადიეზდოთ“, – წერს დავით დარჩიაშვილი.

* * *

„დაპადიეზდებას“, სავარაუდოდ, ვერც დეპუტატი ოთარ კახიძე გადაურჩება. ამ უკანასკნელმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, მიშა ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე არ უნდა იყოსო.

მისი თქმით, თუ პარტიის ყრილობამ სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო, პარტიაზე კონტროლს დათა ახალაიას დაჯგუფება დაამყარებს.

– მიშას მხარდამჭერებად იდენტიფიცირებული ჯგუფები ფეისბუქზე სვამენ საკითხს, რომ ნაციონალურ მოძრაობაში პარტიის მომავალთან დაკავშირებით მიმდინარე დისკუსიის ერთ მხარეს არის ბაქრაძე-ბოკერიას გუნდი, ნახევარი პოლიტსაბჭო და ენმ დეპუტაციის დიდი ნაწილი, ხოლო მეორე მხარეს დათა ახალაიას გუნდი, ნახევარი პოლიტსაბჭო და რამდენიმე დეპუტატი.

ამგვარ პოზიციონირებას ამყარებს დათა ახალაიას ადვოკატის – ირაკლი ზაქარეიშვილის ბინძური და ცილისმწამებლური კამპანია იმის შესახებ, რომ მე და ჩემი კოლეგა დეპუტატები ვართ „ცუციკები“, „ეფესბეს აგენტები“ და „ივანიშვილთან შეკრული“ ხალხი. საგულისხმოა, რომ მის ბრალდებებს არ გაემიჯნა პოლიტსაბჭოს ნაწილი, როცა ამაზე განცხადება იქნა მიღებული, – ჩივის კახიძე.

მისი თქმით, ახალაიას ჯგუფი ერთი-ერთში იმეორებს ასავალ-დასავალის სტილის ბრალდებებს ენმ-ს ლიდერების მიმართ – კორუფციაზე, 7 ნოემბერზე, მოლაშვილსა და ა.შ.

დეპუტატის განმარტებით, იგივე სურათია ენმ-ს სამეგრელოს დეპუტაციაზე (გუნავა, ქებურია, დამენია) თავდასხმების კუთხით, იქაც დათა ახალაიას ჯგუფი აქტიურობს.

– მიშა ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ვერ გახდება, რადგან კანონი ამას კრძალავს. შესაბამისად, ყრილობაზე დათა ახალაიას გუნდის გამარჯვების შემთხვევაში, ისინი ჩაიბარებენ პარტიის მართვის სადავეებს, ხოლო თავმჯდომარის პოსტი დარჩება ვაკანტური. „საინტერესო“ პერსპექტივაა პარტიის განვითარების თვალსაზრისით, – წერს ცუციკად და ივანიშვილთან შეკვრაში ეჭვმიტანილი კახიძე.

ყრილობა 20 იანვარს ტარდება და წინ ბევრი საინტერესო ამბავი გველოდება.

# აუდიტის სამსახურმა პარტიებს 250.000 ლარის ჯარიმა დააკისრა




აუდიტის სამსახურში დღეის მდგომარეობით პარტიებისთვის შეწირულ თანხებთან დაკავშირებით 40 პირია დაბარებული გამოკითხვაზე.

ამის შესახებ გენერალური აუდიტორის მოადგილემ ნინო ლომჯარიამ ჟურნალისტებს განუცხადა.

ლომჯარიას ინფორმაციით, 40 პირი სხვადასხვა პარტიის შემომწირველია. აუდიტის სამსახურის ინტერესია მათ მიერ განხორციელებული შეწირული თანხების კანონიერების დადგენა.

როგორც ლომჯარიამ განმარტა, 2016 წლის საარჩევნო პერიოდში პარტიებმა ჯამში 29.212.382 ლარის შემოწირულობა მიიღეს. აქედან აუდიტის სამსახურმა 1.016 შემომწირველი ფიზიკური პირისა და 84 იურიდიული პირის მიერ განხორციელებული შემოწირულების კანონიერება შეისწავლა.

– ამ დროისთვის გამოკითხულია 120 პირი, მათ შორის „ქართული ოცნების“ 35, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 42, პატრიოტთა ალიანსის 18 და ნაციონალური მოძრაობის 12 შემომწირველი.

წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის ფარგლებში აუდიტის სამსახურმა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს ჯამში 250.000 ლარის ჯარიმა დააკისრა. ყველაზე მეტი ჯარიმა მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“ შემომწირველებს დაეკისრათ, 7 პირს დაახლოებით 187.000 ლარი, – განაცხადა ნინო ლომჯარიამ.

მისივე ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ გაწეული უკანონო ქველმოქმედებისთვის დაჯარიმებულია რამდენიმე პირი, ჯამში 8.000 ლარის ოდენობით. ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით კი დაჯარიმებულია 7 პარტია და 12 კანდიდატი.

როგორც გენერალური აუდიტორის მოადგილემ აღნიშნა, აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილი განცხადებებიდან 3 შემთხვევაზე საქმე პროკურატურაში გადაიგზავნა, ვინაიდან ისინი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა.

**ინტერპრესნიუსი**

# ზურაბ პატარაძე ახალ მინისტრთა კაბინეტს 10 დღის ვადაში წარადგენს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას ისევ ზურაბ პატარაძე უხელმძღვანელებს.

შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის დასამტკიცებლად უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტის მხარდაჭერა იყო აუცილებელი.

ზურაბ პატარაძის კანდიდატურას 21 დეპუტატიდან სრული უმრავლესობით, 14 ხმით იქნა არჩეული. მთავრობის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას სამოქმედო გეგმა წარუდგინა, რის შემდეგაც დეპუტატების შეკითხვებს უპასუხა.



– ძალიან მალე დავაკომპლექტებთ ახალ მთავრობას და ეს იქნება პროფესიონალთა გუნდი, რომელიც ორიენტირებულია საქმის ცოდნაზე, გამოცდილებაზე და ჩვენ ძალიან ბევრს გავაკეთებთ ჩვენი რეგიონის კეთილდღეობისა და წინსვლისთვის.



ჩვენი პრიორიტეტია მომდევნო 4 წლის განმავლობაში რაც შეიძლება მეტი ინვესტიციები და მეტი განვითარება. ეს ხელს შეუწყობს ჩვენს კუთხეს, რომ გახდეს ოთხივე სეზონზე მიმზიდველი და ტურისტულად აქტიური, სოციალურად და ეკონომიკურად ძლიერი რეგიონი, – განაცხადა ზურაბ პატარაძემ არჩევის შემდეგ.

რეგიონის ახალმა მმართველმა ახალი მინისტრთა კაბინეტი 10 დღის ვადაში უნდა წარუდგინოს უმაღლეს საბჭოს.

მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე პატარაძის კანდიდატურა საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა, ოფიციალურად 28 ნოემბერს წარადგინა.

**ნიუსპრესი**

# ახმეტის საკრებულოში პრემიების გამო ერთმანეთს დაერივნენ




ახმეტის საკრებულოში სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა.

საკრებულოს წევრებს შორის დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ ვაჟა ნასყიდაშვილმა სხდომაზე 2016 წლის ბიუჯეტში ცვლილებები წარადგინა და გამგეობის თანამშრომლებისთვის საახალწლო პრემიების გაცემა მოითხოვა.

აღნიშნულ საკითხს ოპოზიციის მხრიდან კრიტიკა მოჰყვა. საკრებულოს წევრ ნუკრი ღუბიანურის თქმით, არ შეიძლება პრემიების გაცემა მაშინ, როცა 2017 წლის ბიუჯეტი 800.000 ლარით არის შემცირებული.

აღნიშნულ რეპლიკას დაპირისპირება მოჰყვა საკრებულოს წევრებსა და გამგებლის მოადგილეს შორის. საბოლოოდ, ახმეტის საკრებულომ ბიუჯეტში ცვლილებებს მხარი მაინც დაუჭირა.

**ინტერპრესნიუსი**

# ზვიად ძიძიგური: „ფასების ზრდა მოსახლეობას არ შეაწუხებს“



– ფასების ზრდა არ იქნება ისეთი, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა შეაწუხოს. ყველა საერთაშორისო ექსპერტი, ყველა კვალიფიციური დასკვნა, სამთავრობო გუნდისაც და ჩვენი უცხოელი კოლეგებისაც ადასტურებს, რომ ფასების ზრდა არ იქნება ისეთი, რომ შეაწუხოს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა.

ამის შესახებ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ზვიად ძიძიგურმა ჟურნალისტებს განუცხადა, როდესაც უპასუხა კითხვას, რომლის მიხედვითაც ექსპერტები პროგნოზირებენ, რომ ახალი წლისთვის ფასების ზრდა შესამჩნევი გახდება.

როგორც ძიძიგურმა განმარტა, ეს მეცნიერულად არის გათვლილი.

– ეს არის გათვლილი მეცნიერულად, ექსპერტულ დონეზე და ამაზე პასუხისმგებლობა აღებული აქვს მთავრობას, – განაცხადა ძიძიგურმა.

**ინტერპრესნიუსი**

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „ხელისუფლება ხალხს კომბლების რევოლუციისკენ უბიძგებს“

## ბესო დანელია: „საპარლამენტო უმრავლესობა პრემიერს ტყუილში ადანაშაულებს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ უძვირებს ხელისუფლება ხალხს ცხოვრებას, რატომ დუმს ივანიშვილი, როდისთვის უნდა ველოდოთ სამთავრობო ცვლილებებს და საით მიექანება ქვეყანა? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ბესო დანელია ესაუბრება.

**ბესო დანელია:**

– დღეს ქვეყნის მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფება, მაგრამ არანაკლებ მძიმე დღეშია მთავრობა. რამდენიმე დღის წინ მთავრობამ შემოგვთავაზა კრიზისიდან გამოსვლის გეგმა, რომელიც თაბახის ფურცლის ნახევარზე ეტევა, ეს უკვე სამარცხვინოა. თავად ეს გეგმა სხვა არაფერია თუ არა ხალხის დაცინვა – ხელისუფლება ხალხის მდგომარეობის გამოსწორებას ხალხის ხარჯზე აპირებს. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ რამდენიმე თვეში საქართველოს ახალი მთავრობა ეყოლება, ამათ კი შესაძლოა გასაქცევად გაუხდეთ საქმე.

ესენი მგონი იმასაც ვერ აცნობიერებენ, თუ რა მოჰყვება საწვავზე აქციზის გაზრდას. როცა საწვავის ფასი იზრდება, ძვირდება ყველა ის პროდუქცია, რომელიც საწვავთან არის კავშირში. პრობლემის გაანალიზების ნაცვლად ხელისუფლებისგან გვესმის ცინიკური განცხადებები, რომ სიგარეტზე, საწვავსა და ალკოჰოლზე აქციზის გაზრდა ჩვენს ჯანმრთელობაზე კარგად იმოქმედებს.

მათ მიერ შემოთავაზებული გეგმა და ცინიკური განცხადებები მიუთითებს იმაზე, რომ ამ კრიზისიდან გამოსვლა არ ძალუძთ. ისინი არც ხალხზე ფიქრობენ და იმაზე არიან გადასული, რაც შეიძლება კარგად მოიწყონ ცხოვრება. ყველაფერს აკეთებენ, რომ ხალხი ქუჩაში გავიდეს და ამათ კომბლების რევოლუცია მოუწყონ.

***– ხელისუფლება ვერ აცნობიერებს იმას, რომ სოციალური ბუნტისკენ მიდის საქმე?***

– ვერ ვხვდები, რას აცნობიერებენ და რას არა. პარლამენტის სხდომებზე ისეთი განცხადებები კეთდება, რომ ზოგჯერ მგონია, იუმორისტული გადაცემაა. არადა ქვეყანაში ბავშვები და მოხუცები შიმშილისგან იღუპებიან. ამ დროს გამოდის ერთი დეპუტატი, რომელიც ამბობს, რომ ზარმაც და ყოჩაღ პენსიონერებს ერთნაირი პენსია არ უნდა ჰქონდეთ. მეორე დეპუტატი გვეუბნება, რომ ივანიშვილის სურათი ყველა



ოჯახში უნდა იყოს. ერთ-ერთმა მინისტრმა ქვეყნის გადარჩენის გზად კომბლის სპაიდერმენით ჩანაცვლება მიიჩნია.

გაჭირვება და ასეთი ცინიკური განცხადებები ხალხს მართლა გამოიყვანს ქუჩაში, რაც ქვეყნისთვის, შესაძლოა, დამღუპველი აღმოჩნდეს. უფსკრულის პირას მდგარი ქვეყანა კიდევ ერთ რევოლუციას ველარ გადაიტანს.

***– ხალხის ქუჩაში გამოსვლას სახიფათოდ მიიჩნევთ, აბა გამოსავალს რაში ხედავთ?***

– გამოსავალი ზუსტად 2 თვის წინ იყო – 8 ოქტომბრის არჩევნებზე შეიძლებოდა „ოცნების“ შეცვლა და მის ნაცვლად პასუხისმგებლიანი ძალის არჩევა, რომელსაც რეალური ცვლილებების განხორციელების კომპეტენციაც ჰქონდა და უნარიც. სამწუხაროდ, მშიერმა ხალხმა სხვა არჩევანი გააკეთა. გასამარჯვებლად „ოცნებამ“ არც გაყალბებაზე თქვა უარი და დღეს ქვეყანას ერთი ძალა – ნაციონალური ოცნება მართავს. არჩევნების წინ „ოცნება“ გვაშინებდა იმით, რომ ჩვენ თუ არ აგვირჩევთ, სააკაშვილი დაბრუნდება. მეორე მხრივ, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ პარლამენტში მათთან ერთად მხოლოდ ნაციონალები მოხვედრილიყვნენ.

თვალშისაცემია ის ფაქტიც, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ოპოზიციასთან ტელედებატებში მონაწილეობაზე უარს ამბობენ. ერთადერთი გამონაკლისი ნაცმოძრაობაა, მათთან ერთად სიამოვნებით სხედან და დემაგოგობენ. ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ ამ პარტიებს ერთმანეთი სჭირდებათ. რომელ დემოკრატიაზე და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაზეა საუბარი, როცა ერი თურქმენიზაციის გზას დაადგა.

***– რა გაძლევთ იმის თქმის საბაბს, რომ ერი თურქმენიზაციის გზას ადგას?***

– ქვეყანაში არაფორმალური მმართველობაა. იმ ქვეყანაში, სადაც ბავშვები შიმშილით იღუპებიან, მინისტრები 100.000-იანი ჯიპებით არ უნდა დადიოდნენ. გაჭირვებული ხალხის ხარჯზე გამდიდრება, რბილად რომ ვთქვათ, ამორალურია. ხელისუფლებაზე მიბმულმა პირებმა, ბანკებმა და მიკროსაფინანსოებმა ამ დღეებში მილიონობით ლარი იშოვეს.

მათ საერთოდ არ აინტერესებთ, თუ რამდენმა ადამიანმა მოიკლა თავი ონლაინ-სესხების გამო. რამდენიმე წლის წინ მადრიდში ერთ-ერთმა მოქალაქემ თავი იმის გამო მოიკლა, რომ მას ბანკმა სახლი გაუყიდა. ამ თვითმკვლელობის შემდეგ ესპანეთის მთავრობამ მოიწვია ბანკების ხელმძღვანელები. ამ შეხვედრის შემდეგ ბანკებმა ყველა მოქალაქეს 10 წლით გადაუვადეს სესხის გადახდის ვადა. ჩვენთან ასეთი ფაქტები ძალიან ხშირად ხდება. რამდენიმე კვირის წინ გურჯაანში 34 წლის ახალგაზრდამ თავი სწორედ ამ მიზეზით მოიკლა. მან ონლაინ-სესხი ვერ დაფარა და მიკროსაფინანსომ ბინა გაუყიდა. ჩვენი ხელისუფლება ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე რომ მოქმედებდეს, ასეთ ფაქტებს რეაგირების გარეშე არ დატოვებდა.

წინა კვირაში მთავრობამ თითქოს გულთან ახლოს მიიტანა ეს ამბავი. პრემიერმა განაცხადა, რომ ონლაინ-სესხები აიკრძალებოდა. ჩვენ მივესალმეთ ამ ამბავს, მაგრამ რად გინდა, იმავე დღეს შეცვალეს პოზიცია. გამოვიდა საპარლამენტო უმრავლესობა და განაცხადა, რომ არანაირი აკრძალვა არ მოხდებოდა. ამით პირდაპირ გვითხრეს, რომ პრემიერმა იცრუა.

***– პრემიერს ამ თემაზე კომენტარი აღარ გაუკეთებია და მის დუმილს რითი ხსნით?***

– ვერ გეტყვით. ეს ადამიანი ამ განცხადების გაკეთებისთანავე ევროპაში გაემგზავრა. ფაქტი ისაა, რომ ამათი პოპულიზმი და ცინიზმი უკვე აუტანელია. სადაც არ უნდა გავიდეთ, ყველა ხელისუფლებას ლანძღავს. მათ შორის არიან „ოცნების“ ერთგული მხარდამჭერებიც. ეს უკვე ძალიან სერიოზულ კრიზისზე მიუთითებს.

***– ზემოთ თქვენ არაფორმალური მმართველობა ახსენეთ. არაფორმალურ მმართველად მიჩნეული ივანიშვილი ყოველთვის ჩნდებოდა ხოლმე, როცა სიტუაცია რთულდებოდა. ამჯერად ის არ გამოჩენილა და თქვენი აზრით, რა ხდება?***

– ქვეყანაში იმ დონის კრიზისია, რომ „ოცნების“ წარმომადგენლების განცხადებები უკვე აღიზიანებს ადამიანებს. ისინი ლაპარაკის ნაცვლად საქმეს ითხოვენ, საქმის გაკეთება არავის უნდა. ამიტომაც ერიდება ივანიშვილი გამოჩენას. ლაპარაკს შედეგი არ მოსდევს და რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ილაპარაკებს – არაფორმალური მმართველი თუ პრემიერი კვირიკაშვილი. ამ უკანასკნელმა მთავრობის სხდომაზე რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც მისი გუნდის წევრებმა რამდენიმე საათში უარყვეს.

***– ამ ფაქტმა ბევრი ჭორი გააჩინა. ერთ-ერთი ვერსიით, კვირიკაშვილის წინააღმდეგ შეთქმულებას აქვს ადგილი.***

– იქიდან გამომდინარე, რომ „ოცნებაში“ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს არავინ იღებს, გუნდის შიგნით არანაირი შეთქმულება არ არის. შეთქმულებაც რომ იყოს, ეს არაფერს არ ცვლის, რადგანაც ხელისუფლება ხალხზე წიხლის დაჭერის ხარჯზე ცდილობს რაღაცის გაკეთებას.

ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, ისე გააკეთეს, რომ არჩევნების შემდეგ პარტიები დაშალეს. რამდენიმე ლიდერი პოლიტიკიდან საერთოდ წავიდა. ფაქტიურად მარტო „ოცნება“ და ნაციონალები არიან დარჩენილი. ეკონომიკური ვითარება ასეთი კატასტროფული რომ არ იყოს, ხალხი კიდევ დახუჭავდა რაღაცაზე თვალს, მაგრამ ახლა ისეთი სიტუაციაა, შეიძლება ხალხი ველარ გააჩერონ.

***– ისე, თქვენ თუ გახსენდებათ ხელისუფლება, რომელმაც არჩევნების დასრულებიდან ლამის მეორე დღესვე ხალხს ასე გაუძვირა ცხოვრება?***

– ასეთი რამე ნამდვილად არ მახსოვს, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის და შევარდნაძის დროს უმძიმესი ვითარება იყო. თავად ამ ხელისუფლებაზე რაიმე რომ იყოს დამოკიდებული, აქამდე არ მიიყვანდნენ საქმეს. მათ ქვეყნის მართვა არ იციან, მხოლოდ პირადი კეთილდღეობის მოწყობა სურთ, გადაწყვეტილებებსაც ერთი კაცი იღებს და ამიტომაც ვართ ამ დღეში. უახლოეს მომავალში თუ რაღაც არ შეიცვალა, თავად ეს ხელისუფლება შეიცვლება.

# გია ყარამანაშვილი: „ყველა სცენარისთვის მზად ვართ, რუსთავი 2 ბოლო ბასტიონია“

ტელეკომპანია რუსთავი 2-ის სასამართლო პროცესსა და მოლოდინებზე კომპანიის დამფუძნებლები საუბრობენ.

გია ყარამანაშვილი ვრცელ ინტერვიუში დეტალურად ლაპარაკობს როგორც უკვე გამართულ სასამართლო პროცესებზე, ასევე უზენაეს სასამართლოში მიმდინარე პროცესზე და აცხადებს, რომ იმას, რაც აქამდე სასამართლო პროცესებზე ხდებოდა, არაფერი აქვს საერთო სამართალთან.

– მთელი საქართველო ხედავდა სასამართლო დარბაზში მიმდინარე პროცესს. ზუსტად სასამართლო დარბაზში, იმიტომ, რომ იმას, რაც სასამართლო დარბაზში ხდებოდა, არაფერი საერთო სასამართლო პროცესთან არ ჰქონია. ჯერ ურთმელიძის სამარცხვინო სასამართლო, შემდეგ ე.წ. „ტროიკა“. ეს სხვა არაფერი იყო თუ არა სპეცოპერაცია ივანიშვილის მიერ სასამართლოს ხელით ჩატარებული, მიიტაცოს რუსთავი 2, – აცხადებს გია ყარამანაშვილი.

მან არ იცის, რა იქნება უზენაეს სასამართლოში.

– მთელმა საქართველომ დაინახა ჩვენი უნაკლო პოზიცია, ჩვენი სიმართლე და, რაც ყველაზე მთავარია, პირველ რიგში ხედავენ თავად მოსამართლეები. ეს მოსამართლეები თავისდაუნებურად შევიდნენ საქართველოს ისტორიაში, მაგრამ მათი გადასაწყვეტია, როგორ დარჩებიან ისინი საქართველოს ისტორიაში, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ. იქნება ეს სამართლიანი, სინდისზე და სამართალზე დაყრდნობილი გადაწყვეტილება თუ იქნება უბრალოდ ვიღაცის ნების შესრულება, – აღნიშნავს ბ-ნი ყარამანაშვილი.

ის ხაზს უსვამს, რომ ამ საქმეს განიხილავს 9 მოსამართლე, რაც ვერ ანეიტრალებს და ვერ აზავებს თითოეული მათგანის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას.

– ჩვენ ყველა სცენარისთვის მზად ვართ. ბოლო ამ საქმის იქნება არა ამ სასამართლოში, არამედ ბოლო იქნება ის, რომ ჩვენი სიმართლე დამტკიცდება და რუსთავი 2 დარჩება ხალხის სამსახურში, ისევე, როგორც დღეს. ხოლო ყველა ის მოძალადე და კრიმინალი, რომელიც ამ საქმეში მონაწილეობდა და იყო ჩართული, აუცილებლად მიეცემა პასუხისგებაში, – აცხადებს ტელეკომპანიის დამფუძნებელი.



მისი აზრით, დღეს ამ პროცესით წყდება ჩვენი ქვეყნის, თითოეული მოქალაქის ბედი.

– ლაპარაკი ამ ვითარებაში ჩვენს ქონებაზე მიმაჩნია უადგილოდ და, რბილად რომ ვთქვა, არაკორექტულად. თან მე უკვე არაერთხელ მითქვამს, რომ ჩვენს ქონებას საფრთხე არ ემუქრება. ამ ხელისუფლებამ რომც მოახერხოს და დროებით ჩამოგვართვას ეს ქონება, ეს მაინც ძალიან დროებითი მოვლენა იქნება. ჩვენ მას აუცილებლად დავიბრუნებთ, უფრო მეტიც, ავინაზღაურებთ მიყენებულ ზიანს, რომელსაც ძალიან კარგად დაითვლის არა ვიღაცა ივანიშვილი, არამედ ავტორიტეტული აუდიტორული კომპანია და ჩვენ ამას გავაკეთებთ როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში, – აღნიშნავს გია ყარამანაშვილი.

მისი აზრით, ზღვარი, სადაც გაჩერდება ხელისუფლება, უბრალოდ არ იარსებებს, თუ ამ ხელისუფლებამ თუნდაც რაღაც მოკლე ვადით ჩაიგდო ხელში რუსთავი 2.

– არა მხოლოდ მთელი საინფორმაციო სივრცე დაემსგავსება ერთ დიდ „პროგრამა ვრემიას“, ვისაც ახსოვს, ვისაც არ ახსოვს, შეუძლია იხილოს „2030“, თვითონ ქვეყანა დაემსგავსება ჩრდილოეთ კორეას. ამას გარდა, მოხდება სრული მონოპოლიზაცია ხელისუფლების.

საზოგადოებას არ დარჩება არჩევანი, ბერკეტი ხელისუფლების საკონტროლოდ. ასეთ ვითარებაში ძალიან გულუბრყვილო იქნება ფიქრი, რომ ხვალ თქვენც არ წაგართმევენ ბიზნესს, საკუთარ საყვარელ საქმეს, ბინას, მანქანას, სხვა ქონებას. დიდი ალბათობით საქართველო ვერ მიიღებს ვიზალიბერალიზაციას, რაც ნიშნავს, რომ ჩვენი ათასობით მოქალაქე ვერ ივლის ევროპაში. ჩვენ სწორედ ამ ჭრილში განვიხილავთ რუსთავი 2-ს, – აღნიშნავს ტელეკომპანიის დამფუძნებელი.

ის ამბობს, რომ ჩვენ ვერ დავიბრუნებთ აფხაზეთს, თუ არ იქნება ძლიერი სახელმწიფო, საქართველო. სახელმწიფო ვერ იქნება ძლიერი, თუ მას არ აქვს თავისუფალი მედია, ამ შემთხვევაში მისი ფლაგმანის, რუსთავი 2-ის გარეშე.

– თვითონ ის ფაქტი, რაც დღეს ხდება რუსთავი 2-თან დაკავშირებით, უკვე მეტყველებს, რა ფსკერზე იმყოფება ჩვენი სახელმწიფო. ეს არ არის ძლიერი სახელმწიფოს მაჩვენებელი.

ასეთ ვითარებაში რუსთავი 2 არის ბოლო ბასტიონი. ეს არის ის წითელი ხაზი, რომლის გადაკვეთის შემთხვევაში, დომინოს პრინციპით, ის მოგუდული რეაქცია, რომელიც დღეს გვაქვს საერთაშორისო საზოგადოებიდან, დარწმუნებული ვარ, გახდება ბევრად უფრო აქტიური. თვითონ ხალხიც ვერ მოითმენს ლეგიტიმაცია დაკარგულ ხელისუფლებას, უბრალოდ, შეუძლებელია. მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს, ნამდვილად არ მინდა, ასეთი სცენარი ვიხილო ჩემს სამშობლოში, – აცხადებს გია ყარამანაშვილი.

**ნიუპოსტი**

## ირმა ინაშვილი: „ბიუჯეტის პროექტს მხარს არ დავუჭერთ“



პარლამენტის ვიცე-სპიკერის ირმა ინაშვილის განცხადებით, პატრიოტთა ალიანსი, სავარაუდოდ, 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს მხარს არ დაუჭერს.

როგორც ინაშვილმა საკითხის კომენტირებისას მედიას განუცხადა, ცუდია, თუ ხელისუფლება ვერ ხედავს, რომ ხალხი ფიზიკურ გადარჩენას და არა ინფრასტრუქტურულ პროექტებს საჭიროებს.

– სავარაუდოდ, არ დავუჭერთ მხარს ამ ბიუჯეტს. არის ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი. ჩვენთვის პრიორიტეტი არის სოციალურად დაუცველი ადამიანების ფიზიკური გადარჩენა ამ ეტაპზე და არა ინფრასტრუქტურული პროექტები, რაზეც აქცენტი კეთდება ამ ბიუჯეტში.

დღეს თუ ეს მთავრობა და ხელისუფლება ვერ ხედავს, რომ ჩვენი მოქალაქეები ფიზიკურად არიან გადასარჩენი, ეს არის ძალიან ცუდი, – აღნიშნა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა.

**მედიანიუსი**

# მიხეილ ყაველაშვილი: „დეპუტატობა ჩემთვის ახალი გამოწვევაა“

## „ჩვენ ვეცდებით, რომ სპორტის გაკვეთილები სკოლაში სავალდებულო გახდეს“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის კომიტეტის თავმჯდომარე, ყოფილი ფეხბურთელი **მიხეილ ყაველაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მის ახალ საქმიანობასა და ფეხბურთის მომავალზე საუბრობს.

***— ბატონო მიხეილ, როგორ მიიღეთ გადაწყვეტილება, რომ დიდი ფეხბურთის შემდეგ პოლიტიკაში მოსულიყავით. ეს მარტივი გადაწყვეტილება იყო?***

— ეს არ იყო მარტივი გადაწყვეტილება, მაგრამ მე გადავწყვიტე, რომ ძალები მომესინჯა. რასაკვირველია. ეს ყველაფერი შედეგზე იქნება დამოკიდებული. რთულია, მაგრამ ესეც იყო ერთგვარი მოტივაცია. მე ვიდექი გამოწვევის წინაშე და მე ეს გამოწვევა მივიღე.

***— თქვენ „ქართული ოცნების“ ახალი სახე ხართ. გაამართლა ამ სტრატეგიამ, ახალგაზრდების გუნდში მოყვანამ?***

— ალბათ გაამართლა. განახლება ყოველთვის არის საჭირო, ეს კანონზომიერებაა. თუმცა, ამ შემთხვევაში გაამართლა თუ არა, შედეგზე იქნება დამოკიდებული. ეს უკვე მუშაობაზე იქნება დამოკიდებული, ეს ახალგაზრდა პროფესიონალები როგორ გამოავლენენ თავიანთ ცოდნასა და უნარებს და რას შემატებენ ქვეყანას, მათ შორის მეც.

***— პარლამენტი არის საკანონმდებლო ორგანო, სადაც კანონები იქმნება და შემდეგ ამ კანონებით ცხოვრობს ქვეყანა. რამდენად არის ეს ის ადგილი, სადაც საჭირო არიან ხელოვანები, სპორტსმენები?***

— ამ კითხვაზე ასე გიპასუხებთ: კანონი სპორტის შესახებ ჩვენ გვაქვს 1995 წელს მიღებული. წარმოიდგინეთ, ამის შემდეგ რამდენმა დრომ გაიარა და რამდენი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა სპორტი. ქვეყანაში სპორტი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ახალგაზრდების ცხოვრების წესთან.

ბევრი საინტერესო პროექტი არსებობს, რომლის განხორციელებაც შეიძლება და ამანაც მიმაღებინა ეს გადაწყვეტილება. სპორტი არ არის მხოლოდ დამატება. სპორტი არის ჯანსაღი ცხოვრების წესი და მისი მასობრიობისთვის, მისი პროპაგანდისთვის მე ყველაფერს გავაკეთებ. ჯანმრთელი და ჯანსაღი ადამიანი ყოველთვის უფრო მეტის გამკეთებელია, უფრო პროდუქტიულია. ჩემთვის სპორტი მთელი ცხოვრებაა.

***— გამოდის, სპორტის შესახებ კანონი გადაიხედება?***

— რა თქმა უნდა. ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებულია. აუცილებელიც არის, რომ სპორტის სამინისტროსთან ერთად ამ საკითხებზე უფრო აქტიურად ვიმუშაოთ და ასეც იქნება. მე მესმის, რომ როდესაც კანონს ეხება საქმე და მის ცვლილებას, სწრაფი მოქმედება არ ივარგებს, მაგრამ საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ, კონსულტაციების გავლის შემდეგ აუცილებლად მივიღებთ გადაწყვეტილებას.

***— დღეს ჩვენს ქვეყანაში არის სპორტის სახეობები, რომლებიც წარმატებულია, მაგალითად, რაგბი, კალათბურთი და ა.შ. მაგრამ არის სახეობები, სადაც მდგომარეობა რთულია. რით ახსნით ასეთ დისონანსს?***



— ეს სერიოზული მსჯელობის საგანია. იცვლება დრო, იცვლება მოთხოვნილებებიც, წინა პლანზე გამოდის სხვადასხვა სახეობები და ა.შ. პირველ რიგში, რაც არის ფუნდამენტური და ამოსავალი, ეს არის სპორტის მასობრიობა. ჩემი, როგორც პარლამენტში ამ მიმართულების ხელმძღვანელის, მიზანი იქნება, ყველა ბავშვს ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ სპორტით დაკავდეს, რადგან ჯანსაღი თაობა ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სკოლებში ამ მხრივ მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა და ჩვენ ვეცდებით, რომ სპორტის გაკვეთილები სავალდებულო გახდეს. ჩვენ უნდა შევუქმნათ ბავშვებს შესაძლებლობა, რომ სპორტით დაკავდნენ.

***— სახელმწიფო სუბსიდიით?***

— როდესაც მასობრიობაზეა საუბარი, რა თქმა უნდა, მაშინ სახელმწიფოს აქტიურობა და როლი დიდია. როგორც ფიზიკას, ქიმიას სწავლობენ სკოლაში ბავშვები, ასევე სავალდებულო იქნება ფიზიკური მომზადების საგანიც. დამატებით იქნება სპორტული სექციები, რა თქმა უნდა, შესაბამის, გამართულ ინფრასტრუქტურასთან ერთად.

ჩვენ უნდა გავუჩინოთ შესაძლებლობები, მაგალითად, დედას, რომ მან შვილი ატაროს ცურვაზე, კალათბურთზე და ა.შ. ვიწყებთ ყველა ფედერაციასთან აქტიურ მუშაობას და მომზადებას, რომ ეს ყველაფერი რეალობად ვაქციოთ. 21-ე საუკუნეში ჯანსაღი ცხოვრების წესი ამოსავალია.

***— ქვეყანაში ეკონომიკური დონე სპორტის ყველა სახეობისთვის ერთია, მაგრამ რაგბი წინ არის, მაგრამ ფეხბურთში ძალიან დაბალი დონე გვაქვს. ეს რით არის გამოწვეული?***

— ფეხბურთი საქართველოში ნომერ პირველი სპორტი იყო და ძალიან დიდი წარმატებებიც გვქონდა.

***— ეს წარსულში.***

— დიახ, მაგრამ ეს არის ტრადიცია. რაც შეეხება ბოლოდროინდელ მდგომარეობას, აქ უშუალოდ მენეჯმენტზეა საუბარი. ცვლილებები მოხდა, ბევრი რამე შეიცვალა ფეხბურთის მიმართულებით. ეს ინტენსივობა უნდა გაგრძელდეს, რომ რეალური წარმატებები გვქონდეს. ჩვენ გვექნება ყველა ფედერაციასთან მჭიდრო თანამშრომლობა. ფედერაციებმა უნდა წარმოადგინონ გრძელვადიანი განვითარების პროგრამები, რომ საერთო მიზანს მივაღწიოთ.

# კახა კუკავა: „საქართველო იმის ღირსია, რაც მის თავს ხდება“

ნონა ცაბაძე

ოპოზიციური პარტიები ლარის გაუფასურების და ფასების კატასტროფულად მატების ფონზე, სოციალურ აფეთქებას და ქუჩაში აქციებს აანონსებენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „ახალი თაობის“ კითხვებს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი **კახა კუკავა** პასუხობს.

***— ბატონო კახა, როგორ აფასებთ მიმდინარე პროცესებს?***

— ეკონომიკური რეფორმის გეგმა ივანიშვილის გუნდს არასდროს ჰქონია. მათ ჩამოწერეს ამ ქვეყანაში რაც არის კარგი და მდიდრული ობიექტი, ის რაც წინა ხელისუფლებებს ამა თუ იმ ფორმით გადაურჩა. ბოლნისის ოქრო, ფოთის პორტი, რკინიგზა, სააფთიაქო კომპანიები. მოკლედ ის, სადაც ფული კეთდება. ასეთი 15-20 ადგილია საქართველოში, პლუს კაზინოები.

***— ივანიშვილის გუნდიო და ის ხომ აღარ მართავს ხელისუფლებას?***

— კარგით, რა, ვის სჯერა ამის! ჩამოწერეს სია და ივანიშვილი ჯერ ხელისუფლებაშიც არ იყო მოსული, რომ ამ ადგილებში თავისი ხალხი



გაანაწილა — მამაცაშვილები, ჯანყარაშვილები და დაიწყო საქართველოსთვის ამ სტრუქტურებიდან სისხლის წოვა. ზუსტად ისე, როგორც ეს გააკეთა შევარდნაძის და სააკაშვილის გუნდმა!

***— ანუ იგივე სიტუაციაში ვართ?***

— აუცილებლად დაწერეთ და არ ამოჭრათ, ღირსია საქართველო და ქართველი ერი იმის, რაც მის თავს ხდება. იმიტომ, რომ შევარდნაძესაც 70% აძლევდა ხმას, სააკაშვილსაც 80 და 90%-იც კი და ამ არჩევნებზე 814 ათასი ხმა მიიღო „ქართულმა ოცნებამ“! ამ ყველაფრის შემდგომ ჩვენი საზოგადოება და ჩვენი ხალხი ღირსია იმ ყველაფრისა, რასაც საკუთარი მთავრობები 25 წლის მანძილზე უშვრებიან!

***— ეროვნული ვალუტის გაუფასურებას და კურსის ხშირ ცვალებადობას ექსპერტთა დიდი ნაწილი ხელოვნურ და მიზანმიმართულ პროცესს უწოდებს. რას ფიქრობთ თქვენ?***

— ლარის დევალვაცია არის არა დაავადება, არამედ სიმპტომი. დღეს მთავრობა რასაც აკეთებს, ეს არის პირველყოფილი სისულელე, როდესაც ამბობს, რომ ლარის გამყარების გეგმა შეიმუშავეს.

***— რატომ არის სისულელე?***

— იმიტომ, რომ მსოფლიოში არ არსებობს ასეთი რეფორმა, რა სახის რეფორმები არ გატარებულა, მაგრამ ეროვნული ვალუტის გამყარების რეფორმა, როგორც ასეთი, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ რეფორმატორს არ ჩაუტარებია. არსებობს ეკონომიკური რეფორმა, რომელიც თუ წარმატებულია, ბუნებრივად იწვევს ეროვნული ვალუტის კურსის გამყარებასაც.

***— რა სახის რეფორმები უნდა გაატაროს მთავრობამ?***

— ეკონომიკური რეფორმების მთავარი მიმართულებები არის საინვესტიციო კლიმატის შექმნა, პრივატიზაცია, სახელმწიფოს მიერ სუბსიდირება, შიდა ბაზრის დაცვა, საგარეო ბაზრების მოპოვება. საქართველოს მთავრობას კი ამ მიმართულებით თითი თითზე არ დაუდია და ისედაც სავალალო მდგომარეობა, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა დატოვა, კიდევ უფრო გააუარესა!

***— რეფორმები ეკონომიკაში კიდევ ბევრ წელს მოითხოვს.***

— ეკონომიკური რეფორმა იწყება პოლიტიკური რეფორმით! ეკონომიკური რეფორმის გატარება იმ ქვეყანაში, სადაც 2016 წელს, 21-ე საუკუნეში, ქვეყანას განაგებს ფეოდალი, ოლიგარქი, არაფორმალური მმართველი, არის წარმოუდგენელი! თუ გვინდა ჯანმრთელი ეკონომიკა, პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, ეს არის ივანიშვილის რეჟიმის დემონტაჟი და გასამართლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, კორუმპირებულ, ავტორიტარულ ქვეყანაში, ვერანაირი ეკონომიკა ვერ განვითარდება.

***— ხელისუფლების დემონტაჟზე საუბრობთ და სულ რაღაც ორი თვეა, რაც ეს ხელისუფლება მეორე ვადით ავირჩიეთ. ფიქრობთ, რომ შესაძლებელია ეს?***

— 4 წელშიც რომ გახდეს შესაძლებელი ამ სისტემის დანგრევა, მე ბედნიერი კაცი ვიქნებოდი.

***— ოპოზიციური პარტიები აქციებს აანონსებენ, სოციალურ აფეთქებაზე საუბრობენ. სოციალური კრიზისი გამოიყვანს ხალხს ქუჩაში?***

— ხალხის ქუჩაში გამოყვანას სჭირდება არა მარტო სოციალური უკმაყოფილება, არამედ პოლიტიკური ალტერნატივაც. თუ ხალხი ვერ ხედავს ძლიერ პოლიტიკურ ალტერნატივას, ის ვერ ხედავს ქუჩაში გამოსვლის აზრს. ამიტომ, დღეს ოპოზიციის უმთავრესი ამოცანა, რომელიც უახლოეს პერიოდშია გადასაწყვეტი, არის ერთიანი ბლოკის შექმნა, რომელსაც საზოგადოება გამოუცხადებს ნდობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი ქუჩაში არ გამოვა.

ეკონომიკა

# ქართული თაფლისთვის ევროკავშირის ბაზარი უკვე ღიაა

ევროკავშირმა დაასრულა ყველა ფორმალური პროცედურა და საქართველო შეიყვანა მესამე ქვეყნების ჩამონათვალში, საიდანაც ევროკავშირის ტერიტორიაზე თაფლის იმპორტი დაშვებულია.

ამის შესახებ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრესსამსახურიდან იუწყებიან.

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი აცხადებს, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მეფუტკრეობის დარგის განვითარებისა და ქართული თაფლის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის სტიმულირების მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა.



— ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად, მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ევროპის კანონმდებლობასთან დაახლოებას გულისხმობს. კერძოდ, დამტკიცდა ვეტერინარული პრეპარატების, სხვა დამაბინძურებლებისა და ნარჩენი ნივთიერებების მონიტორინგის გეგმა. 2015 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“, რომელიც თაფლთან დაკავშირებით მოთხოვნებს ადგენს, — აცხადებს ლევან დავითაშვილი.

როგორც სამინისტროში განმარტავენ, ბიზნესოპერატორი ვალდებულია, ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული სტანდარტებით თაფლი აწარმოოს და ბაზარზეც დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად განათავსოს.

შესაბამისად, თაფლის მწარმოებლებს საშუალება აქვთ, შესაბამისი სტანდარტების დაცვის შემთხვევაში, საკუთარი პროდუქცია ევროპის ბაზარზე განათავსონ.

**ბიპიენი**

# ირაკლი კობახიძე: „ბრიტანელ პარტნიორებთან თანამშრომლობას გავაღრმავებთ“



— ძალიან ბევრ რამეს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გავაღრმაოთ ჩვენი თანამშრომლობა ბრიტანელ პარტნიორებთან.

ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის საქართველოს საკითხებზე პარტიათაშორისი საპარლამენტო ჯგუფის წევრებთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

კობახიძის თქმით, საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის წევრებთან ძალიან პროდუქტიული შეხვედრა გაიმართა, ხოლო მომავალი თანამშრომლობა აუცილებლად გაძლიერდება.

— ჩვენ ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენს სტრატეგიული პარტნიორობას დიდ ბრიტანეთთან და დიდი სურვილი გვაქვს, კიდევ უფრო გაღრმავდეს ეს პარტნიორობა როგორც ქვეყნებს შორის ზოგადად, ასევე, პარლამენტთაშორის დონეზე. ამ მიმართულებით ძალიან ბევრი რამ გაკეთდება ჩვენი პარლამენტის მიერ, — განაცხადა კობახიძემ.

გაერთიანებული სამეფოს პარლამენტში საქართველოს საკითხებზე პარტიათაშორისი საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელმა ჯონათან ჯანოღლიმ, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ძალიან პოზიტიური შეხვედრა გაიმართა, ასევე დააფიქსირა მხარდაჭერა საქართველოში დემოკრატიისა და მართლმსაჯულების გაძლიერების მიმართულებით.

— ჩვენ ძალიან მოხარულები ვართ, რომ პირველი პარტიათაშორისი საპარლამენტო ჯგუფი ვართ, რომელიც საქართველოს ცოტა ხნის წინ ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ეწვია. ჩვენ გვქონდა ძალიან საინტერესო დიალოგი პარლამენტის თავმჯდომარესთან და გვაქვს შესაძლებლობა, ხელახლა დავადასტუროთ მჭიდრო კავშირები ორ ქვეყანას შორის, — განაცხადა ჯონათან ჯანოღლიმ.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# გიორგი გაჩეჩილაძე: „მომავალ წელს ლარი ძალიან სწრაფად გამყარდება“

## „საქართველოში მილიარდობით დოლარის ინვესტიციები შემოვა“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის უმრავლესობის წევრი **გიორგი გაჩეჩილაძე** მოითხოვს, საგამოძიებო კომისიამ შეისწავლოს, სად წაიღეს ნაციონალებმა 2008 წელს, ომის შემდეგ, საქართველოსთვის გამოყოფილი 4 მილიარდნახევარი დოლარი.

– ნაცმოძრაობა ძალიან რომ იჭიმება, 2008 წელს, ომის შემდეგ, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს 4,5 მილიარდი დოლარი რომ არ გამოეყოთ, დღეს საქართველო იარსებებდა საერთოდ? ლარის კურსი როგორი იქნებოდა? სად წაიღეს ნაციონალებმა ის 4 მილიარდი, ეს კიდევ საკითხავია. კეთილი ინებოს ჩვენმა საგამოძიებო კომისიამ და შეისწავლოს, სად წავიდა ეს ფული, – ამის შესახებ დეპუტატმა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში განაცხადა.

გიორგი გაჩეჩილაძე მედიაზე ნაწყენია. ამბობს, რომ ლარის კურსის მოსალოდნელ გამყარებასთან დაკავშირებით, პარლამენტის სხდომაზე მის მიერ გაკეთებული ოპტიმისტური განცხადება ვერ გაიგეს.

პარლამენტის სხდომაზე მან თქვა, რომ მომავალი წლიდან საქართველოში დიდი ინვესტიციები შემოვა, რაც ლარს ძალიან სწრაფად გაამყარებს. ამის შემდეგ კი მან გიორგი კვირიკაშვილს დაუსვა ის კითხვა, რამაც საზოგადოებაში დიდი დაბნეულობა გამოიწვია:

– მაინტერესებს, არის თუ არა განსაზღვრული ის მიჯნა, რომლის ქვევით აღარ გამყარდება ლარი და ამ პროცესში ეროვნული ბანკი ჩაერევა.

* * *

***– ბატონო გიორგი, პარლამენტის სხდომაზე ძალიან დამაიმედებელი განცხადება გააკეთეთ, რომელსაც, ლარის კურსის მკვეთრი დაცემის ფონზე, სხვადასხვაგვარი გამოხმაურება მოჰყვა. თქვენ რა გაიმედებთ?***

– სამწუხაროა, რომ ქართული ელექტრონული მედიის უმეტეს ნაწილში რატომღაც სახელმწიფოებრივად სასარგებლო მოწოდებების მიზანმიმართული დამახინჯება ხდება. არ ვიცი, რატომ მოჰყვა ასეთი რეაქცია. ადამიანებს, რომლებიც უმძიმეს მდგომარეობაში არიან, ეკონომიკურ სფეროსაც და ლარსაც ოპტიმიზმი სჭირდება, რაც უნდა იძახოს ზოგიერთმა ექსპერტმა, ლარის გაუფასურების ობიექტური მიზეზები არსებობსო. რა თქმა უნდა, არსებობს ობიექტური მიზეზები, მაგრამ მედიას ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

***– რას გულისხმობთ?***

– მედიას შეუძლია სრულიად ცარიელ მინდორზე შექმნას პანიკური სიტუაცია არა მარტო ლარის მიმართ, არამედ სხვა საკითხებზეც.

***– 1 დეკემბერსაც პანიკური სიტუაცია ცარიელ მინდორზე შექმნეს?***

– არ ვიცი, 1 დეკემბერს ზუსტად იქ რა მოხდა. სხვადასხვა შეფასებები არსებობს. ობიექტური იყო თუ ბანკების მიერ შექმნილი ისტერიკა, ეს სხვა ამბავია. ამის თაობაზე თავის დროზე ყველაფერი გაირკვევა და გამოქვეყნდება. მთავარია, ყველა უნდა შევეცადოთ, რომ ეს ქვეყანა თავზე არ დაგვემხოს, თორემ მოწინააღმდეგეებიც და მომხრეებიც ერთად ნანგრევების ქვეშ აღმოვჩნდებით ჩვენი შვილებიანად და შვილიშვილებიანად.

***– ბატონო გიორგი, იწყება თქვენ მიერ ნახსენები პროექტები და ლარი მართლა გამყარდება?***



**ლარის გაუფასურებას ხელს უწყობს ან ლარის დიდი მასა ბრუნვაში, ან დოლარის დეფიციტი. როდესაც ქვეყანაში დოლარის დიდი მასა შემოვა, ბუნებრივია, უნდა ველოდოთ ლარის გამყარებას**

– ლარის გაუფასურებას ხელს უწყობს ან ლარის დიდი მასა ბრუნვაში, ან დოლარის დეფიციტი. როდესაც ქვეყანაში დოლარის დიდი მასა შემოვა, ბუნებრივია, უნდა ველოდოთ ლარის გამყარებას. ამიტომ ამ ვითარებაში მედიის გარკვეული ნაწილი (სანამ რამდენიმესაათიანი შოკური გაუფასურება მოხდებოდა) 24 საათის განმავლობაში ცდილობდა, პირდაპირ ხელი შეეწყო ლარის გაუფასურებისთვის. საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური ტერორი ჰქონდათ გამოცხადებული.

ბუნებრივია, ნებისმიერი საღად მოაზროვნე, ქვეყანაზე მოფიქრალი პოლიტიკოსი შეეცდებოდა საზოგადოებისთვის ეთქვა ის რეალობა, რომელიც შეიძლება მომავალი წლის მეორე ნახევრიდან დაიწყოს ქვეყანაში.

***– კერძოდ, რა იწყება?***

– იგულისხმება უდიდესი პროექტები, მილიარდობით დოლარის ინვესტიციები.

***– ანუ თქვენ ამ პროექტების განხორციელების დაწყებას ელოდებით.***

– რა თქმა უნდა. ინფრასტრუქტურული პროექტებია. მათ შორისაა, აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ავტობანის პროექტი. ყველაზე დიდი წვლილი ექნება საერთაშორისო პროექტებს. უზარმაზარი ინვესტიციები უნდა ჩაიდოს. ასევე იწყება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა, რომელშიც ამერიკის მხარეა ჩართული. ეს არის ასეულობით მილიონი დოლარის ღირებულების პროექტი.

უნდა დაიწყოს გაზსაცავის მშენებლობა, რომელიც 200-დან 300 მილიონ დოლარამდე ინვესტიციას შემოიტანს. გარდა ამისა, დაიწყება ენერგეტიკული პროექტები და ა.შ.

მომავალი წლიდან საფუძველი ეყრება უზარმაზარ გეოპოლიტიკურ პროექტებს, უმნიშვნელოვანესს საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის თვალსაზრისით.

***– კერძოდ?***

– გაზსაცავი და შაჰ-დენიზის გაზსადენის მეორე ეტაპი, რომელიც აზერბაიჯანი-საქართველოს გავლით ევროპას უნდა დაუკავშირდეს. აქედან ველოდებით დიდი ოდენობით ინვესტიციებს. გარდა ამისა, დაგეგმილია ქვეყნის უდიდესი ნაწილის გაზიფიცირება, რაც მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას გააუმჯობესებს და გადაარჩენს ჩვენს ტყის მასივებს.

***– რა მცირე პროექტებზე საუბრობთ?***

– მაგალითად, 500 მეგავატი სიმძლავრის და საშუალო სიმძლავრის ენერგოობიექტები შეიძლება დაემატოს საქართველოს ენერგოობიექტებს, რის გამოც ენერგიის გამომუშავება გაიზრდება. შეიძლება იმ დონეზეც გაიზარდოს, დავეწიოთ საბჭოთა კავშირის დროინდელი გამომუშავების მაქსიმუმს. ელექტროენერგიის გამომუშავების მაქსიმუმი იყო 1990 წელს.

პერსპექტივები ძალიან დიდია, რაც საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რადგან არა მარტო ლარის კურსზე იმოქმედებს დადებითად გამყარების თვალსაზრისით, არამედ მოსახლეობის დასაქმებასა და მისი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზეც. თუ 24 საათის განმავლობაში თავზე ნაცარი ვიყარეთ, სასიკეთო არაფერი გამოვა. გამოვა ის, რაც ხდებოდა წლების განმავლობაში.

***– რა ხდებოდა?***

– არეულობა, უბედურება, დესტაბილიზაცია, რაშიც მედიის ზოგიერთი წარმომადგენელი თავის როლს ასრულებდა.

***– ზოგიერთმა ექსპერტმა ათპუნქტიან გეგმას, რომელიც მთავრობის სხდომაზე წარმოადგინა პრემიერმა, მოუმზადებელი უწოდა. თქვენ პრემიერის ამ გეგმას ემხრობით?***

– რა თქმა უნდა, ვემხრობი. მაგალითად, დოლარში აღებული სესხების ლარში გადაყვანას. ადამიანები წლების განმავლობაში ითხოვენ, რამე გაგვიკეთეთო.

***– დოლარში გაცემული სესხების ლარში გადაყვანა იმ ადამიანებისთვის შვება იქნება, ვისაც იპოთეკური სესხები აქვთ?***

– პირველ რიგში, იპოთეკარებს ეხებათ, რომლებიც წლებია, შველას ითხოვენ. იმ შესაძლებლობის ფარგლებში, რაც საქართველოს ბიუჯეტს გააჩნია, ეს არის დიდი ჰუმანური ნაბიჯი იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც წლებია, გასაჭირში არიან. როგორი კურსიც უნდა იყოს, 20 პუნქტით ნაკლებად გადაგიხურდავებენ. ეს ეხება მხოლოდ კერძო პირებს, ვისაც კრედიტები აქვს აღებული.

***– ზოგიერთ პროდუქტზე აქციზის გაზრდას როგორ აფასებთ?***

– სიგარეტზე აქციზს აუცილებლად უნდა მოემატოს. ამით რაღაც პროცენტით მაინც შემცირდება მწეველების რაოდენობა. ჩვენ მწეველთა რაოდენობით ყველაზე მოწინავე ქვეყანა ვართ მსოფლიოში. იმ თანხებს, რომელთაც ამოვიღებთ, ისევ მოსახლეობის საკეთილდღეოდ მივმართავთ. მაგალითად, მათი ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის.

***– ბენზინზე აქციზის გაზრდა ფასების გაზრდას არ გამოიწვევს?***

– ნაწილობრივ, ალბათ, გამოიწვევს. ყველაზე ცუდი იქნება საწვავზე ფასების მატება. თუმცა, არის პროგნოზი, რომ ნავთობის ფასები საერთაშორისო ბაზრებზე კლებას დაიწყებს.

***– ანუ ბენზინის ფასი შეიძლება არ გაიზარდოს?***

– პროგნოზი არსებობს, რომ შეიძლება საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასები შემცირდეს. შესაბამისად, შეიძლება არ იყოს ფასის კატასტროფული ზრდა, მათ შორის, საქართველოშიც.

კომპლექსურმა ღონისძიებებმა გარემოს გაუმჯობესებასაც უნდა შეუწყოს ხელი. ავტომანქანების იმპორტზე ფასისა და მანქანებზე გადასახადის ზრდასთან ერთად, 2017 წლიდან შემოდის ევრო-5-ის სტანდარტი. ეს იმას ნიშნავს, რომ მაღალი ხარისხის ბენზინი უნდა შემოვიდეს საქართველოში და გამოიყენონ ავტომანქანებმა.

***– მოკლედ, ოპტიმისტურად ხართ განწყობილი და არც ცხოვრება გაძვირდება ისე, რომ ადამიანებს გაუჭირდეთ?***

– ჩვენ ახლა გადავდივართ ძალიან სერიოზულ ეტაპზე – ვიწყებთ უმნიშვნელოვანეს პროექტებს ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი სტრატეგიული პარტნიორებისთვის. მან უნდა უზრუნველყოს საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება, უსაფრთხოება და ჩვენი სოციალური კეთილდღეობის განვითარება, რაც ფუნდამენტური საკითხია მისთვის, ვისაც უნდა პრობლემები დაძლიოს, ქვეყანა ფეხზე წამოდგეს.

თუ ეს პროექტები არ განხორციელდა, დავიხუროთ ქუდი და წავიდეთ ამ ქვეყნიდან, სხვა გამოსავალი არ იქნება.

ქვეყნის ფეხზე დადგომაში გარედან ძალიან სერიოზულად გვეხმარებიან.

***– ვინ?***

– ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები – ევროკავშირი, აშშ და ნატო, სამხედრო, ეკონომიკური თუ სხვა უამრავი მიმართულებით. ეს გაერთიანებები რომ არ ყოფილიყო, დღეს საქართველო არ იარსებებდა. ნაცმოძრაობა ძალიან რომ იჭიმება, 2008 წელს, ომის შემდეგ, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს 4,5 მილიარდი დოლარი რომ არ გამოეყოთ, დღეს საქართველო იარსებებდა საერთოდ? ლარის კურსი როგორი იქნებოდა? სად წაიღეს კიდევ ის 4 მილიარდი, საკითხავია. კეთილი ინებოს ჩვენმა საგამოძიებო კომისიამ და შეისწავლოს, სად წავიდა ეს ფული.

***– ხელისუფლება ჩინური პროექტებზეც საუბრობდა.***

– ძალიან მნიშვნელოვანია აბრეშუმის გზასთან დაკავშირებული პროექტები. სხვათა შორის, ამას საფუძველი ჩაეყარა შევარდნაძის პერიოდში, როდესაც ტრასეკას ხელშეკრულება გაფორმდა. ტრასეკა არის ევროკავშირის პროგრამა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურების განვითარებასთან, აღმოსავლეთისა და დასავლეთის სატრანსპორტო მაგისტრალის გამართვასთან დაკავშირებით. მაგისტრალები სულ ამ პროგრამით გაკეთდა.

ახლა აბრეშუმის გზის სატრანსპორტო მიმოსვლები ძალიან მნიშვნელოვანია. ჩინეთში უზარმაზარი ფონდი შეიქმნა, სადაც რამდენიმე ასეული მილიონი დოლარია, რომელიც უნდა დაიხარჯოს სწორედ ამ ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.

## ლარი გამყარდა

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გამყარდა.



დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.5598 ლარია. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.5599 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0001 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გამყარდა.

კერძოდ, ხვალიდან ერთი ევროს შეძენა 2.7234 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა დღეს მოქმედი კურსი 2.7250 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0016 ლარი შეადგინა.

## გიორგი სუპატაშვილი: „ავტომობილების რეალიზაცია სამჯერ შემცირდა“

### „აქციზის გადასახადის მოსალოდნელი ზრდის ფონზე“



კავკასიის ავტოიმპორტის ხელმძღვანელის თქმით, აქციზის გადასახადის მოსალოდნელი გაძვირება უკვე ნეგატიურად აისახა ბიზნესზე.

– ყოველდღიურ მონაცემებს თუ შევადარებთ, პარასკევს ავტომობილების გაყიდვების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. თუ ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნება, მოკლევადიან პერიოდში, რა თქმა უნდა, ბიზნესზე უარყოფით ზეგავლენას მოახდენს.

მთავრობის მიერ გაჟღერებულმა ინიციატივამ ბაზარზე გაურკვევლობა შემოიტანა. ჩვენ შემთხვევაში, ეს ყველაფერი უკვე აისახა პარასკევის გაყიდვებზე და ავტომობილების რეალიზაციის რაოდენობა სამჯერ შემცირდა, – აღნიშნა კავკასიის ავტოიმპორტის ხელმძღვანელმა გიორგი სუპატაშვილმა.

სუპატაშვილის განცხადებით, ბიზნესს მოსალოდნელი, რთული პერიოდიდან სწრაფად გამოსვლისთვის, მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში მეტი სიცხადე და გამჭვირვალობა სჭირდება.

საერთო ჯამში, კავკასიის ავტოიმპორტის ხელმძღვანელი დაანონსებულ ცვლილებებს მიესალმება. გიორგი სუპატაშვილს მიაჩნია, რომ ქვეყნის ავტოპარკი განახლებას საჭიროებს.

**ქრისტინე გამთენაძე, ბიპიენი**

## ბიზნესსექტორში საშუალო თვიური ხელფასი 51,4 ლარით გაიზარდა

2016 წლის მესამე კვარტალში საშუალო თვიური ხელფასი ბიზნესსექტორში 1012,5 ლარს გაუტოლდა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 51,4 ლარით მეტია.



საქსტატის მონაცემებით, ბიზნესსექტორში დასაქმებული ქალების ხელფასი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 40,9 ლარით გაიზარდა და 2016 წლის მესამე კვარტალში 739,0 ლარი შეადგინა.

საქსტატის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი მსხვილ ბიზნესში 1160,7 ლარია, საშუალო ბიზნესში – 915,6 ლარი, მცირე ბიზნესში კი საშუალო თვიური ხელფასი 576,6 ლარს შეადგენს.

**ბიპიენი**

## ავსტრია: ულტრა-მემარჯვენე პოლიტიკოსი პრეზიდენტი ვერ გახდა



ავსტრიელ ულტრა-მემარჯვენეთა ლიდერი ჰაფერი საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა.

მან ხმების 46% დააგროვა, მისმა კონკურენტმა, მწვანეთა პარტიის წარმომადგენელმა ვან დერბელენმა კი – 53% და დამაჯერებლად ლიდერობს.

## რუსულმა გამანადგურებელმა კატასტროფა განიცადა



სუ-33 ტიპის გამანადგურებელმა ხმელთაშუა ზღვაში „ადმირალი კუზნეცოვის" ავიამზიდზე დაშვებისას კატასტროფა განიცადა.

მფრინავმა კატაპულტირება მოასწრო და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

– სირიის თავზე საბრძოლო დავალების შესრულების შემდეგ „ადმირალი კუზნეცოვის" ავიამზიდზე დაშვებისას, აეროფინიშერის ბაგირის გაწყვეტის შედეგად, გამანადგურებელი სუ-33 გემბანს აცდა, – ნათქვამია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

## რუსები სირიის დაბომბვას განაგრძობენ



რუსულმა ავიაციამ ქალაქი იდლიბი დაბომბა. მას აკონტროლებენ სირიის ოპოზიციის გაერთიანებული ძალები, რომელთა შორის ექსტრემისტული ორგანიზაცია ალ-ნუსრას ფორმირებებიც არიან.

დაბომბვის შედეგად დაღუპულია 20 მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის მოხუცები, ქალები, ბავშვები.

## საფრანგეთის პრემიერი მანუელ ვალსი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს



საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა მანუელ ვალსმა მემარცხენეების პრაიმერიზში საპრეზიდენტო კანდიდატად მონაწილეობის მიღების შესახებ განცხადება გააკეთა.

ეს ქალაქ ევრიში მოხდა.

2001 წლიდან 2012 წლამდე მანუელ ვალსი ქალაქ ევრის მერი იყო.

1 დეკემბერს საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა სატელევიზიო მიმართვაში უარი განაცხადა 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე.

## საპრეზიდენტო არჩევნები უზბეკეთში




უზბეკეთში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა.

მასში მოსახლეობის 88%-მა მიიღო მონაწილეობა.

ლიდერობს შავქათ მირზიოევი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## იტალიის პრემიერი გადადგა



იტალიის პრემიერმა რენციმ გადადგომის შესახებ გამოაცხადა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მოსახლეობამ რეფერენდუმზე მის კონსტიტუციურ რეფორმას მხარი არ დაუჭირა.

კონსტიტუციური რეფორმის წინააღმდეგ ხმა 54%-მა მისცა.

– ვერ შევძელი გამარჯვების მოპოვება. ამ მთავრობის გამოცდილება მთავრდება აქ, სინდისის ქენჯნის გარეშე მივდივართ. დღის მეორე ნახევარში შევკრებ მინისტრებს, შემდეგ ვესტუმრები პრეზიდენტს და გადადგომის შესახებ განცხადებას გადავცემ, – განაცხადა მატეო რენციმ რეფერენდუმის შედეგების გამოცხადების შემდეგ.

მატეო რენცის მიერ ინიცირებული საკონსტიტუციო რეფორმის თანახმად, იტალიის სენატის წევრების რაოდენობა 315-დან 100-მდე შემცირდებოდა. მის შემადგენლობაში შევიდოდა 21 მერი, 74 რეგიონალური მრჩეველი და 5 სენატორი, რომლებსაც 7 წლის ვადით ქვეყნის პრეზიდენტი დანიშნავდა.

რეფორმა ითვალისწინებდა ქვეყნის რეგიონების უფლებამოსილების შემცირებას: ენერგეტიკის, სტრატეგიული ინფრასტრუქტურისა და სამოქალაქო თავდაცვის საკითხები უშუალოდ პრემიერ-მინისტრის განკარგულებაში გადავიდოდა.

## დებორა ლი ჯეიმსი: „რუსეთი აშშ-ის ნომერ პირველი საფრთხეა"



აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების მდივანმა დებორა ლი ჯეიმსმა რუსეთი აშშ-ის ნომერ პირველ საფრთხედ დაასახელა.

– ჩვენ უამრავი საფრთხე გვაქვს, მაგრამ რუსეთი, ბირთვული ასპექტის გამო, აშშ-ისთვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს, – განუცხადა დებორა ლი ჯეიმსმა სააგენტო როიტერს რეიგანის სახელობის ეროვნული თავდაცვის ფორუმზე.

აშშ-ის თავდაცვის მდივნის მოადგილემ ფრენკ კენდელმა აღნიშნა, რომ თუ ადრე ვაშინგტონის პოლიტიკა მიმართული იყო საფრთხეების აღმოფხვრაზე აზია-წყნარი ოკეანისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, ახლა აშშ უფრო ფოკუსირებულია რუსეთზე.

აშშ-ის შეიარაღებული ძალების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელმა ჯოზეფ დანფორდმა აღნიშნა, რომ მოსკოვის მიზანია ნატო-სთან დაპირისპირება და ალიანსის რეპუტაციისთვის ძირის გამოთხრა.

– ისინი ხშირად მოქმედებენ იქ, სადაც ათწლეულების მანძილზე არ გამოჩენილან, – განაცხადა დანფორდმა.

## ლავროვი: „მოსკოვი და ვაშინგტონი ალეპოდან მეამბოხეებს გაიყვანენ"



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებით, ის დარწმუნებულია, რომ ამ კვირაში მოსკოვი და ვაშინგტონი შეთანხმებას მიაღწევენ სირიის ქალაქ ალეპოს აღმოსავლეთ ნაწილიდან მეამბოხეების გაყვანის შესახებ.

მისი თქმით, შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში ის მეამბოხეები, რომლებიც დარჩებიან ალეპოს აღმოსავლეთ ნაწილში, მიჩნეულნი იქნებიან ტერორისტებად და რუსეთი მხარს დაუჭერს სირიის არმიას მათ წინააღმდეგ ოპერაციის ჩატარებაში.

– ის შეიარაღებული ჯგუფები, რომლებიც უარს იტყვიან ალეპოს აღმოსავლეთ ნაწილის დატოვებაზე, ტერორისტებად იქნებიან მიჩნეულნი. ჩვენ მათ ტერორისტებად, ექსტრემისტებად ჩავთვლით და მხარს დავუჭერთ სირიის არმიას მათ წინააღმდეგ ოპერაციის ჩატარებაში, – განაცხადა ლავროვმა.

სამშაბათს საღამოს ან ოთხშაბათს დილით ჟენევაში რუსეთი და აშშ მოლაპარაკებებს დაიწყებენ ალეპოდან მეამბოხეების გაყვანის თაობაზე.

## ფიდელ კასტროს დაკრძალვა დახურულ რეჟიმში ჩატარდა



ცხრადღიანი გლოვის შემდეგ კუბელებმა დიქტატორი კასტრო უკანასკნელ გზაზე გააცილეს. ბოლო მომენტში დაკრძალვის დახურულ რეჟიმში ჩატარება გადაწყდა. უამრავი ჟურნალისტი, რომელიც კუბაში კასტროს დაკრძალვაზე დასასწრებლად მთელი მსოფლიოდან ჩავიდა, გაწბილებული დარჩა.

ფიდელ კასტრო ქალაქ სანტიაგო-დე კუბაში დაკრძალეს.

კუბელებს შორის მის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ერთნი მას ტირანად თვლიან, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკა ჩამოაქცია, მეორენი – გმირად, თუმცა ეს უკანასკნელნი უმცირესობაში არიან. კუბაზე კვლავაც ტოტალიტარული რეჟიმია და სასტიკად ისჯება ყველა, ვინც ხელისუფლების კრიტიკას გაბედავს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## პუტინი რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების გამარტივებას ითხოვს



რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი რუსეთის ფედერაციაში რეგისტრაციისა და რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების გამარტივებას ითხოვს.

როგორც რუსული მედია წერს, პუტინმა მიმართა მთავრობას, შესაბამისი ზომები გაატაროს.

– მე არაერთხელ ვთხოვე მთავრობას, მიექცია ყურადღება, რომ რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების საკითხი, განსაკუთრებით ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მოქალაქეების გარკვეული კატეგორიისთვის, მაქსიმალურად გათავისუფლდეს ბიუროკრატიისგან. იგივე ეხება რეგისტრაციასაც, – აღნიშნა პუტინმა.

როგორც რუსული მედია წერს, გამოითქვა მოსაზრება, რომ გამარტივება შეეხოს, მაგალითად, შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს.

ამასთან, რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მოქალაქეობისა და რეგისტრაციის გამარტივება არ უნდა მოხდეს უსაფრთხოების ზომების შესუსტების ხარჯზე. პუტინის თქმით, რუსეთში, აშშ-ის მსგავსად, თითქმის 10 მილიონზე მეტი ადამიანი არალეგალურად ან ნახევრად ლეგალურად ცხოვრობს.

20/30 ნიუსი

## პრინცმა ჰარიმ და რიანამ ბარბადოსზე საღამო ერთად გაატარეს

ბრიტანეთის პრინცი ჰარი ბარბადოსზე მომღერალ რიანას შეხვდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს, რომლის მონაცემებითაც, 32 წლის უინძორების დინასტიის წარმომადგენელმა და 28 წლის პოპ-ვარსკვლავმა ერთმანეთი გაიცნეს ლონისძიებაზე, რომელიც ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის 50 წლისთავს ეძღვნებოდა. ჰარის და რიანას ურთიერთობა პრაქტიკულად მთელი საღამო გრძელდებოდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს დიდი ხნის მეგობრები იყვნენ.

აღსანიშნავია, რომ საღამოზე პრინცმა საკუთარი ბებიის, დედოფალ ელისაბედ II-ის მისალმება წაიკითხა, რომელშიც მისმა უდიდებულესობამ პატივისცემა გამოხატა ბარბადოსისა და მისი მოქალაქეების მიმართ.

პრინცი ბარბადოსში კარიბის ზღვის ტურნეს ფარგლებში ჩავიდა. რიანა კი ამ კუნძულზე დაიბადა და მშობლიურ ქვეყანაში ნიუ-იორკიდან ჩამოფრინდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### მომსახურება

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

### მკურნალობა

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავებაშეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ბრინჯაოს მედლისთვის ორი დინამო ითამაშებს



**დინამო (თბ)-საბურთალო 1:0**

(პირველი მატჩი 0:0)

**თბილისი.** დინამო არენა

1:0 ზარია (25)

**დინამო:** რევიშვილი, ჭელიძე, ხუბუტია, რენე, ლოჩოშვილი, ცინცაძე, კიტეიშვილი, პაპუნაშვილი (ნინუა 86), ზარია (ჩაკვეტაძე 78), ჯიღაური, მიქელთაძე

**საბურთალო:** გოშაძე, იაშვილი, მარგველაშვილი, გრიგალაშვილი, ჩაბრაძე, მამუჩაშვილი (კოხრეიძე 80), ტერა (ნადარაია 62), ხარაიშვილი, ვაგნერი, ფანცულაია (ხუანფრი 74), სანტი ხარა

დინამო არენაზე ბრინჯაოს პლეი ოფის საპასუხო შეხვედრა გაიმართა. დინამომ საბურთალოს უმასპინძლა. 30 ნოემბერს ამ გუნდებს შორის გამართული პირველი პაექრობა გატანილი გოლების გარეშე დასრულდა.

მე-2 მატჩში დინამომ შეხვედრა აქტიურად დაიწყო და პირველივე წუთებზე რამდენიმეჯერ სახიფათოდ შეუტია სტუმართა კარს. მე-8 წუთზე საბურთალოს კარის მიმართულებით საკმაოდ სახიფათო საჯარიმო დარტყმა დაინიშნა, რომელიც მათე ცინცაძემ ტექნიკურად შეასრულა, ბურთი კი ძელს მოხვდა.

მასპინძელთა შეტევებმა შედეგი 25-ე წუთზე გამოიღო. გიორგი პაპუნაშვილის ჩამოწოდებული კუთხურის შემდეგ, ბურთი მცველმა კი მოიგერია, მაგრამ გიორგი ზარიას მიუვიდა, მანაც ზუსტად ითამაშა და ანგარიში გახსნა.

პირველი ტაიმის ბოლოს საბურთალოს სახიფათო შეტევაა აღსანიშნავი, როდესაც ვაგნერ გონსალვეში რამდენიმე მეტოქეს გაცდა, მისი დარტყმული ბურთი კი გარედან მოხვდა დინამოს კარის ბადეს.

მე-2 ტაიმში პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებს დარჩათ. ზარიას კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს, თავი აკაკი ხუბუტიამ შეაგება, ბურთი მცირედით აცდა საბურთალოს კარს. კუთხურიდან 71-ე წუთზე უკვე საბურთალოს ფეხბურთელებმა მოაწოდეს სახიფათოდ. თედორე გრიგალაშვილის თავით დარტყმული ოდნავ აცდა ნუკრი რევიშვილის კარს.

ბოლოსკენ სტუმრები გააქტიურდნენ და მასობრივ შეტევებზე გადავიდნენ. მატჩის 85-ე წუთზე გიორგი ხარაიშვილმა ხელსაყრელი პოზიციიდან არაზუსტად ითამაშა და ხელიდან გაუშვა, შეიძლება ითქვას, რეალური საგოლე მომენტი. საბოლოოდ მეტად დაძაბული შეხვედრა დინამოელთა გამარჯვებით დასრულდა.

**დინამო (ბთ)-ტორპედო 1:0**

(პირველი მატჩი 1:2)

**ქობულეთი.** ჩელე არენა

1:0 ქავთარაძე (8)

**დინამო:** ტიმოფეევი, კვირკველია, გოგიტიძე, სუხიაშვილი, შონია, თარხნიშვილი, ტვილდიანი, გორელიშვილი (მარიანოვიჩი 46), ფონიავა (გეგეჭკორი 61), ქავთარაძე (თევდორაძე 72), ლობჟანიძე

**ტორპედო:** კვასხვაძე, ტაბატაძე, ჭიჭინაძე, გურული, ქიმაძე (ნერგაძე 66), ბურჯანაძე (საღრიშვილი 46), ფალავანდიშვილი, ბენაშვილი (კვარაცხელია 62), ტუღუში, ბაბუნაშვილი, კაპანაძე

ზღვისპირეთში თამაშს ცივი და წვიმიანი ამინდი დაერთო, თუმცა რთულ პირობებშიც, შეხვედრის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მეტოქეებმა პირველიდან ბოლო წუთამდე თავდაუზოგავად იბრძოლეს, ამ ბრძოლაში კი უფრო იღბლიანები ბათუმელები აღმოჩნდნენ. მათ მიერ შეხვედრის მე-8 წუთზე გატანილი ბურთი ერთადერთი და გადამწყვეტი მნიშვნელობისა გახლდათ. ბათუმელთა 1:0-მა ტორპედოელთა 2:1-ს აჯობა – ზღვისპირელებმა სტუმრად გატანილი გოლის წყალობით მოიპოვეს ორრაუნდიან დაპირისპირებაში უპირატესობა.

როგორც აღვნიშნეთ, ბათუმელები მატჩის დებიუტში დაწინაურდნენ. ტორპედოელთა კარში ბურთი გიორგი ქავთარაძემ გაიტანა. პირველ ტაიმში სტუმრებმაც განახორციელეს რამდენიმე სახიფათო იერიში, კერძოდ, თორნიკე კაპანაძეს შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, თუმცა მისი დარტყმები კარს აცდა.

მე-2 ნახევარში ტორპედო დიდ ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა, ხშირად უტევდა, მაგრამ მეტოქე ორგანიზებულად იცავდა თავს და ანგარიშიც უცვლელი დარჩა.

ამრიგად 10 დეკემბერს გორში, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე გარდამავალი პირველობის მცირე ფინალი გაიმართება, რომელშიც დინამო თბილისი და დინამო ბათუმი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

# დიქსონი დააკავეს, შენგელია იგებს, შერმადინი საუკეთესოა

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები

ათენის აეკისა და საქართველოს ეროვნული ნაკრების კალათბურთელი მაიკლ დიქსონი ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილეობის გამო დააკავეს. ავტოსაგზაო შემთხვევამ 64 წლის მამაკაცის სიცოცხლე შეიწირა.

ათენის გარეუბანში დიქსონის მანქანა 47 წლის ქალის ავტომობილს შეეჯახა, რომელმაც საჭე ვერ დაიმორჩილა და თავის მხრივ მამაკაცი იმსხვერპლა.

კალათბურთელი პოლიციაში გადაიყვანეს, სადაც ალკოტესტი ჩაუტარეს. დიქსონს ორგანიზმში ალკოჰოლი არ აღმოაჩნდა. ჩვენების მიცემის შემდეგ იგი სამართალდამცავებმა გაათავისუფლეს.

თორნიკე შენგელიას წინამძღოლობით ბასკონიამ სტუმრად რეალ ბეტისი დაამარცხა. შენგელიამ 18 წუთზე ოდნავ მეტი ითამაშა. ქართველი ფორვარდი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, თუმცა მოედანზე გასულმა მატჩის სადავეები ხელთ იპყრო და შეტევაზე ორიენტირებულმა 9-დან 6 ორქულიანი ჩააგდო, რასაც 2-დან 2 საჯარიმო მოაყოლა და 1 სამიანი ააცილა.

საბოლოოდ შენგელიას ანგარიშზე 14 ქულა, 4 მოხსნა, 3 ჩაჭრა, 2 პასი და 1 დაფარება დაგროვდა.

ვიტორიელებმა მეტოქეს იოლად აჯობეს. პირველი ტაიმის შემდეგ ბასკონია 47:25 იგებდა და დარჩენილ დროში გუნდის ლიდერები აღარ დატვირთულან. სათამაშო დრო ვიტორიელ კალათბურთელებზე თითქმის თანაბრად გადანაწილდა და ბასკონიაც იოლად მივიდა გამარჯვებამდე.

გიორგი შერმადინმა კი ესპანეთის ჩემპიონატში საუკეთესო მატჩი ჩაატარა, რომელიც, შესაძლოა, მისი პირინეული კარიერის ყველაზე შედეგიან თამაშადაც ჩაითვალოს. ცუდი მხოლოდ ის არის, რომ ქართველი ცენტრის ზეშედეგიანი გარჯა გამარჯვებით ვერ დაგვირგვინდა. ქართველი კალათბურთელების – შერმადინისა და ბექა ბურჯანაძის ანდორამ სტუმრად ესტუდიანტესთან დაძაბულ ბრძოლაში 85:87 წააგო.

შერმადინი მატჩის ჭეშმარიტი ლიდერი გახლდათ, რომელმაც 21 ქულა და 16 მოხსნა მოაგროვა.

შერმადინმა პირველ ტაიმში 18 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა და მიუხედავად იმისა, რომ მისი გუნდი 35:49 აგებდა, მესამე პერიოდში მხოლოდ 4 წუთი დაიტვირთა და საკუთარ მონაგარს მხოლოდ 2 მოხსნა შემატა.

ბოლო პერიოდის წინ ესტუდიანტესი 21 ქულით იგებდა, მაგრამ ანდორელებმა გუნდური თამაშის წყალობით ჩამორჩენის მინიმუმამდე შემცირება მოახერხეს – მატჩის ბოლო წუთზე ანგარიში 85:84 იყო. დასრულებამდე 10 წამით ადრე მასპინძლებმა ჯამარ უილსონის საჯარიმოებით უპირატესობა 3 ქულამდე გაზარდეს.

ანდორელთა ხსნა შორ სროლაში იყო, რომელიც დევიდ უოლკერმა შეასრულა, მაგრამ არაზუსტად. აცილებული ბექა ბურჯანაძემ მოხსნა, რომელზეც ესტუდიანტესელები მყისვე დაჯარიმდნენ. ბექამ პირველი სროლა ჩააგდო, მეორე კი, რაკი დრო აღარ რჩებოდა, განზრახ ააცილა და ფარიდან ასხლეტილი ბურთი თავად მოხსნა, რომელიც უოლკერს მიაწოდა, ამ უკანასკნელმა კი საფინალო სირენის თანხლებით დაკარგა.

შერმადინმა 29 წუთი ითამაშა და 8-დან 4 ორქულიანს 14-დან 13 საჯარიმო მოაყოლა. 21 ქულასა და 16 მოხსნასთან ერთად გიორგიმ თითო ჩაჭრა-პასი მიითვალა.

ბურჯანაძე სათადარიგო იყო და მოედანზე 16 წუთი გაატარა, რა ხნის განმავლობაშიც 8 საჯარიმოდან 6 გამოიყენა, თითო სამიანი და ორიანი კი აუცდა. 6 ქულასთან ერთად ბექამ 5 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა.

6 მოგებითა და 4 მარცხით ანდორა ბილბაო ბასკეტთან ერთად მე-7-8 ადგილებს იყოფს. მომდევნო ტურში ანდორელები ბარსელონას უმასპინძლებენ.



მცირე შესვენების შემდეგ განახლდა რუსეთის რანგით მეორე დივიზიონის, სუპერლიგა 1-ის მატჩები. გათამაშების ლიდერმა ნოვოსიბირსკმა დიდი ბრძოლა გადაიტანა. აკაკი დვალიშვილის გუნდმა სუმის ტემპს უმასპინძლა და 3 ქულის სხვაობით – 72:69 დაამარცხა.

ციმბირული გუნდის ქართველი ფორვარდი ტრადიციულად, სტაბილურად გაისარჯა. დვალიშვილი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, მოედანზე კი 15 წუთით გამოჩნდა და 9 ქულასთან ერთად 5 მოხსნაც მიითვალა. აკაკიმ 5-დან 4 ორქულიანი და 3-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, 1 სამიანი კი ააცილა.

10 ტურის შემდეგ 9 მოგებით ნოვოსიბირსკი სუპერლიგა 1-ის ლიდერია. მომდევნო ტურში დვალიშვილის გუნდი ეკატერინბურგის ურალს უმასპინძლებს.

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# შედეგები

4 დეკემბერი

**ფეხბურთი**

### ინგლისი. პრემიერლიგა

ბორნმუთი-ლივერპული ................ 4:3
ევერტონი-მანჩესტერი ................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 14 | 11 | 1 | 2 | 32-11 | 34 |
| 2.არსენალი | 14 | 9 | 4 | 1 | 33-14 | 31 |
| 3.ლივერპული | 14 | 9 | 3 | 2 | 35-18 | 30 |
| 4.სიტი | 14 | 9 | 3 | 2 | 30-15 | 30 |
| 5.ტოტენჰემი | 14 | 7 | 6 | 1 | 24-10 | 27 |
| 6.მანჩესტერი | 14 | 5 | 6 | 3 | 19-16 | 21 |
| 7.ვესტ ბრომვიჩი | 14 | 5 | 5 | 4 | 20-17 | 20 |
| 8.ევერტონი | 14 | 5 | 5 | 4 | 17-16 | 20 |
| 9.სტოკი | 14 | 5 | 4 | 5 | 16-19 | 19 |
| 10.ბორნმუთი | 14 | 5 | 3 | 6 | 19-22 | 18 |
| 11.უოტფორდი | 14 | 5 | 3 | 6 | 18-24 | 18 |
| 12.საუთჰემპტონი | 14 | 4 | 5 | 5 | 13-15 | 17 |
| 13.კრ.პალასი | 14 | 4 | 2 | 8 | 24-26 | 14 |
| 14.ბარნლი | 14 | 4 | 2 | 8 | 12-23 | 14 |
| 15.ლესტერი | 14 | 3 | 4 | 7 | 17-24 | 13 |
| 16.მიდლსბრო | 13 | 2 | 6 | 5 | 12-15 | 12 |
| 17.ვესტ ჰემი | 14 | 3 | 3 | 8 | 15-29 | 12 |
| 18.სანდერლენდი | 14 | 3 | 2 | 9 | 14-24 | 11 |
| 19.ჰალი | 13 | 3 | 2 | 8 | 11-28 | 11 |
| 20.სუონსი | 14 | 2 | 3 | 9 | 16-31 | 9 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ბეტისი-სელტა ................ 3:3
ბილბაო-ეიბარი ................ 3:1
ალავესი-ლას პალმასი ................ 1:1
ხიხონი-ოსასუნა ................ 3:1
ვალენსია-მალაგა ................ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 14 | 10 | 4 | 0 | 37-12 | 34 |
| 2.ბარსელონა | 14 | 8 | 4 | 2 | 34-15 | 28 |
| 3.სევილია | 14 | 8 | 3 | 3 | 25-20 | 27 |
| 4.ატლეტიკო | 14 | 7 | 4 | 3 | 28-11 | 25 |
| 5.ვილიარეალი | 14 | 6 | 5 | 3 | 19-10 | 23 |
| 6.სოსიედადი | 13 | 7 | 2 | 4 | 22-14 | 23 |
| 7.ბილბაო | 14 | 7 | 2 | 5 | 20-17 | 23 |
| 8.ეიბარი | 14 | 6 | 3 | 5 | 21-19 | 21 |
| 9.სელტა | 14 | 6 | 3 | 5 | 24-26 | 21 |
| 10.ლას პალმასი | 14 | 5 | 5 | 4 | 25-22 | 20 |
| 11.მალაგა | 14 | 5 | 5 | 4 | 23-21 | 20 |
| 12.ესპანიოლი | 14 | 4 | 7 | 3 | 17-17 | 19 |
| 13.ალავესი | 14 | 4 | 5 | 5 | 14-17 | 17 |
| 14.ბეტისი | 14 | 4 | 3 | 7 | 17-28 | 15 |
| 15.ლეგანესი | 14 | 4 | 2 | 8 | 11-25 | 14 |
| 16.ვალენსია | 14 | 3 | 3 | 8 | 19-26 | 12 |
| 17.ხიხონი | 14 | 3 | 3 | 8 | 15-28 | 12 |
| 18.დეპორტივო | 13 | 2 | 4 | 7 | 13-23 | 10 |
| 19.გრანადა | 14 | 1 | 5 | 8 | 13-30 | 8 |
| 20.ოსასუნა | 14 | 1 | 4 | 9 | 13-29 | 7 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

რაიო-ალკორკონი ................ 2:0
ხირონა-ლევანტე ................ 2:1
ოვიედო-ხიმნასტიკი ................ 1:0
მალიორკა-ვალიადოლიდი ................ 0:3
ტენერიფე-უესკა ................ 1:1
რეუსი-კორდობა ................ 1:2

### გერმანია. ბუნდესლიგა

დარმშტადი-ჰამბურგი ................ 0:2
აუგსბურგი-აინტრახტი ................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაიპციგი | 13 | 10 | 3 | 0 | 29-11 | 33 |
| 2.ბაიერნი | 13 | 9 | 3 | 1 | 29-9 | 30 |
| 3.ჰერტა | 13 | 8 | 3 | 2 | 22-13 | 27 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 13 | 6 | 7 | 0 | 25-14 | 25 |
| 5.აინტრახტი | 13 | 7 | 4 | 2 | 19-11 | 25 |
| 6.დორტმუნდი | 13 | 7 | 3 | 3 | 31-15 | 24 |
| 7.კიოლნი | 13 | 6 | 4 | 3 | 18-12 | 22 |
| 8.შალკე | 13 | 5 | 2 | 6 | 18-15 | 17 |
| 9.ლევერკუზენი | 13 | 5 | 2 | 6 | 20-21 | 17 |
| 10.მაინცი | 13 | 5 | 2 | 6 | 23-25 | 17 |
| 11.ფრაიბურგი | 13 | 5 | 1 | 7 | 17-25 | 16 |
| 12.აუგსბურგი | 13 | 3 | 5 | 5 | 11-15 | 14 |
| 13.გლადბახი | 13 | 3 | 4 | 6 | 13-22 | 13 |
| 14.ვერდერი | 13 | 3 | 2 | 8 | 17-32 | 11 |
| 15.ვოლფსბურგი | 13 | 2 | 4 | 7 | 12-18 | 10 |
| 16.დარმშტადტი | 13 | 2 | 2 | 9 | 11-26 | 8 |
| 17.ჰამბურგი | 13 | 1 | 4 | 8 | 10-27 | 7 |
| 18.ინგოლშტადტი | 13 | 1 | 3 | 9 | 10-24 | 6 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

არმინია-ბოხუმი ................ 1:0
აუე-შტუტგარტი ................ 0:4
ვურცბურგერი-ფორტუნა ................ 0:0

### იტალია. სერია ა

მილანი-კროტონე ................ 2:1
ლაციო-რომა ................ 0:2
პესკარა-კალიარი ................ 1:1
სამპდორია-ტორინო ................ 2:0
სასუოლო-ემპოლი ................ 3:0
ფიორენტინა-პალერმო ................ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 15 | 12 | 0 | 3 | 32-13 | 36 |
| 2.რომა | 15 | 10 | 2 | 3 | 35-16 | 32 |
| 3.მილანი | 15 | 10 | 2 | 3 | 27-19 | 32 |
| 4.ნაპოლი | 15 | 8 | 4 | 3 | 27-15 | 28 |
| 5.ლაციო | 15 | 8 | 4 | 3 | 27-16 | 28 |
| 6.ატალანტა | 15 | 9 | 1 | 5 | 24-17 | 28 |
| 7.ტორინო | 15 | 7 | 4 | 4 | 31-19 | 25 |
| 8.ფიორენტინა | 14 | 6 | 5 | 3 | 22-16 | 23 |
| 9.სამპდორია | 15 | 6 | 4 | 5 | 19-20 | 22 |
| 10.ინტერი | 15 | 6 | 3 | 6 | 22-21 | 21 |
| 11.კალიარი | 15 | 6 | 2 | 7 | 23-32 | 20 |
| 12.ჯენოა | 13 | 5 | 4 | 4 | 17-15 | 19 |
| 13.კიევო | 14 | 5 | 3 | 6 | 14-16 | 18 |
| 14.სასუოლო | 15 | 5 | 2 | 8 | 20-26 | 17 |
| 15.ბოლონია | 14 | 4 | 4 | 6 | 14-21 | 16 |
| 16.უდინეზე | 14 | 4 | 3 | 7 | 18-23 | 15 |
| 17.ემპოლი | 15 | 2 | 4 | 9 | 7-24 | 10 |
| 18.პესკარა | 15 | 1 | 5 | 9 | 12-27 | 8 |
| 19.კროტონე | 15 | 1 | 3 | 11 | 12-29 | 6 |
| 20.პალერმო | 15 | 1 | 3 | 11 | 11-29 | 6 |

### იტალია. სერია ბ

ვერონა-პერუჯა ................ 2:2

### საფრანგეთი. 1 ლიგა

რენი-სტ.ეტიენი ................ 2:0
მარსელი-ნანსი ................ 3:0
ნიცა-ტულუზა ................ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნიცა | 16 | 12 | 3 | 1 | 30-10 | 39 |
| 2.მონაკო | 16 | 11 | 3 | 2 | 49-16 | 36 |
| 3.პსჟ | 16 | 11 | 2 | 3 | 30-11 | 35 |
| 4.რენი | 16 | 8 | 3 | 5 | 18-19 | 27 |
| 5.გენგამი | 16 | 7 | 5 | 4 | 21-15 | 26 |
| 6.ლიონი | 15 | 8 | 1 | 6 | 28-18 | 25 |
| 7.ბორდო | 16 | 6 | 6 | 4 | 20-18 | 24 |
| 8.ტულუზა | 16 | 6 | 4 | 6 | 18-16 | 22 |
| 9.სტ.ეტიენი | 16 | 5 | 7 | 4 | 16-14 | 22 |
| 10.მარსელი | 16 | 5 | 6 | 5 | 16-17 | 21 |
| 11.ანჟე | 16 | 5 | 4 | 7 | 15-18 | 19 |
| 12.მონპელიე | 16 | 4 | 7 | 5 | 23-28 | 19 |
| 13.მეცი | 15 | 5 | 3 | 7 | 16-29 | 18 |
| 14.ლილი | 16 | 5 | 2 | 9 | 15-21 | 17 |
| 15.დიჟონი | 16 | 3 | 7 | 6 | 22-25 | 16 |
| 16.ნანსი | 16 | 4 | 4 | 8 | 12-22 | 16 |
| 17.კაენი | 16 | 4 | 3 | 9 | 16-30 | 15 |
| 18.ბასტია | 16 | 3 | 5 | 8 | 12-20 | 14 |
| 19.ნანტი | 16 | 3 | 4 | 9 | 9-26 | 13 |
| 20.ლორიანი | 16 | 3 | 3 | 10 | 16-29 | 12 |

### ჰოლანდია. ეკრედივიზიონი

დენ ჰააგი-უტრეხტი ................ 0:2
ტილბურგი-ტვენტე ................ 0:0
ფეიენოორდი-სპარტა ................ 6:1
აიაქსი-გრონინგენი ................ 2:0

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

მორეირენშე-ნასიონალი ................ 3:1
ფეირენშე-აროუკა ................ 0:2
ეშტორილი-ბელენენსეში ................ 1:1
გიმარეში-შავიში ................ 1:1

### რუსეთი. პრემიერლიგა

ლოკომოტივი-ტერეკი ................ 2:0

### შვეიცარია. სუპერლიგა

ლოზანა-გრასჰოპერსი ................ 1:2
ლუგანო-თუნი ................ 1:1
სტ.გალენი-სიონი ................ 2:1

### ავსტრია. ბუნდესლიგა

ვოლფსბერგერი-შტურმი ................ 0:4

### ბელგია. 1 დივიზიონი

კორტრაიკი-ანდერლეხტი ................ 1:3
გენკი-ლოკერენი ................ 1:2

### საბერძნეთი. სუპერლიგა

ოლიმპიაკოსი-ლევადიაკოსი ................ 4:0
ქსანთი-ასტერასი ................ 3:1
ლარისა-ატრომიტოსი ................ 1:2
პანათინაიკოსი-პაოკი ................ 1:0

### თურქეთი. სუპერლიგა

ალანია-ქონია ................ 2:3
გაზიანთეპი-აკჰისარი ................ 1:2
ოსმანლი-ქარაბუქი ................ 2:1
ადანა-გენჩლერი ................ 0:2
ქაშიმფაშა-გალათასარაი ................ 1:2

### ჩეხეთი. სინოტ ლიგა

დუკლა-სლოვაცკო ................ 2:3
ბოლესლავი-პრჟიბრჟამი ................ 2:2

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

კრაკოვია-ლენჩნა ................ 1:1
იაგელონია-ლეხი ................ 2:1

### უკრაინა. პრემიერლიგა

შახტარი-სტალი ................ 2:0
ზვეზდა-ოლექსანდრია ................ 1:1

### დანია. სუპერლიგა

ნორდსიელანდი-ოდენსე ................ 0:1
ესბიერგი-ბრონდბიუ ................ 1:1
მიდტიულანდი-ორხუსი ................ 0:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი
სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.
მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა არის ჩიყვის გამომწვევი მიზეზები?

ეკა ირემაშვილი

ფარისებრი ჯირკვალი ორგანიზმში ენერგიისა და ნივთიერებათა ცვლას არეგულირებს, ამიტომ თითოეული ადამიანისთვის მნიშვნელოვანია მისი კონტროლი.

ექიმი ენდოკრინოლოგი ნინო ესაკია ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებსა და მის პროფილაქტიკაზე „ახალ თაობას" ესაუბრა.

– ფარისებრი ჯირკვალი ორგანიზმში ენერგიისა და ნივთიერებათა ცვლას არეგულირებს, ამიტომ აუცილებელია, ის ზომებში არც გაზრდილი იყოს და არც შემცირებული, – ამბობს ნინო ესაკია.

***– ადამიანები ფარისებრი ჯირკვლის ნებისმიერ ცვლილებას ჩიყვს ეძახიან...***

– საქართველოში თუკი რამე დაავადება ასოცირდება ფარისებრ ჯირკვალთან, ყველაფერს ჩიყვს ეძახიან, რაც არ არის სწორი.

ჩიყვი არ არის დაავადება ისეთი, ანუ ერთი და იგივე სახეობის, როგორი წარმოდგენაც არსებობს ხალხში. ჩიყვი არის სხვადასხვა ფორმის, გამომდინარე იქიდან, ის არის ჰორმონალურად აქტიური, თუ ჰორმონალურად პასიური. გვხვდება ასევე შემთხვევაც, როდესაც ჰორმონები ნორმის ფარგლებშია, მაგრამ ჩიყვი მაინც არის.

ჩიყვი შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმის, დიფუზური ჩიყვი, როდესაც მხოლოდ ზომებშია გადიდებული ფარისებრი ჯირკვალი, კვანძოვანი ჩიყვი, როდესაც კვანძი არის შიგნით და არსებობს დიფუზურ-კვანძოვანი ჩიყვიც, როდესაც დიფუზურადაც არის გადიდებული და კვანძიც არის.



***– რას გვეტყვით ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიებზე?***

– ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიები შეიძლება იყოს ზომებში შემცირებული ჯირკვლის ფონზე, ან საერთოდ არ იყოს ფარისებრი ჯირკვალი ზომებით გაზრდილი, ჩიყვიც არ იყოს, მაგრამ როცა ნორმაზე მცირეა და ვეღარ გამოყოფს ჰორმონებს ზომიერი რაოდენობით, ესეც პათოლოგიაა.

***– რა არის ჩიყვის გამომწვევი მიზეზები?***

– გამომწვევი მიზეზები რამდენიმეა. ერთი კონკრეტული მიზეზი არ არსებობს, თუმცა ყველაზე ხშირ მიზეზად სახელდება იოდის დეფიციტი ორგანიზმში, ანუ როცა იოდის რაოდენობა სისხლში შემცირებულია. არის ჩიყვების აუტოიმუნური ფორმები, ესეც პათოლოგიაა და მისი გამომწვევი კონკრეტული მიზეზი მედიცინაში დადგენილი არ არის, რამდენიმე ფაქტორს ასახელებენ, მათ შორის ეს არის გენეტიკური წანასწარგანწყობა ორგანიზმის, რადიაციული ფონის გავლენა ორგანიზმზე, სტრესი და უამრავი ფაქტორი.

ხშირად ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიები ვლინდება ორსულობის დროს. გამომწვევი კი არ არის, უბრალოდ, პროვოკატორია. მყავს პაციენტები, რომლებსაც ორსულობამდე გაკეთებული აქვთ სკრინინგულად გაკეთებული ანალიზები, ყველაფერი ნორმაში აქვთ და არანაირი პათოლოგია არ აქვთ, მაგრამ ორსულობის დაფიქსირებისთანავე დაიწყო ჰორმონების დარღვევა.

***– ორსულობის შემდეგ შესაძლებელია ფარისებრი ჯირკვალი პირვანდელ ფორმებს დაუბრუნდეს?***

– ხშირ შემთხვევაში ეს არის მხოლოდ ორსულობის დროს არსებული დარღვევები. ამ დროს პაციენტს ენიშნება ადეკვატური მკურნალობა. თუ იოდის დეფიციტია, იოდის ჯგუფის პრეპარატები ინიშნება, თუ არის ჰორმონების დეფიციტი, მაშინ ჰორმონის ტიპის პრეპარატები ინიშნება. ხშირ შემთხვევაში ორსულობის შემდეგ ყველაფერი მწყობრში დგება და მედიკამენტოზური მკურნალობა საჭირო აღარ არის, თუმცა ყოველი შემდგომი ორსულობა არის პროვოკატორი და მომდევნო შვილის გაჩენისას იგივე პრობლემები იჩენს თავს. ამიტომ ხშირად გინეკოლოგი ორსულს გარკვეული კვირების მიხედვით უკეთებს გამოკვლევებს ფარისებრ ჯირკვალზე და ნახულობენ, არის თუ არა რაიმე პათოლოგია.

***– როგორია პირველადი სიმპტომები?***

– ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის დროს მკვეთრად გამოხატული ერთი რაიმე კონკურენტული სინდრომი არ არსებობს, რომ იგრძნოს და მაშინვე მივიდეს ექიმთან. არის რამდენიმე – ზოგადი სისუსტე, თავის ტკივილი, თმის ცვენა, ფრჩხილების მტვრევა, კანის სიმშრალე, წონაში უმიზეზო მატება, შეკრულობა და ა.შ. ეს ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების დეფიციტის დროს ვითარდება. თუ პირიქით, ჰორმონების სიჭარბეა და არა დეფიციტი, მაშინ ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომების საწინააღმდეგო ქმედებები იწყება – წონაში მკვეთრი კლება, კანკალი, ოფლიანობა, კუჭის აშლილობა. ერთმანეთის საწინააღმდეგო სიმპტომებით მიდის ჰიპერთირეოზი და ჰიპოთირეოზი.

ნორმალური ჰორმონების მაჩვენებლის შემთხვევაში ადამიანის ნივთიერებათა ცვლა მიმდინარეობს კარგად და მსგავსი სიმპტომები არ აქვს.

***– რამდენად რთულია შხამიანი ჩიყვის მკურნალობა?***

– შხამიანი ჩიყვი ბევრად უფრო აგრესიული დაავადებაა და ძნელად სამართავია, ის რთულ და ხანგრძლივ მკურნალობას მოითხოვს. თუმცა მკურნალობა ყველა შემთხვევაში სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაიწყება გულის პრობლემები, ფეხების შეშუპება, სითხის დაგროვება ორგანიზმში, ნევროლოგიური სიმპტომატიკის გამოვლენა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ორსულობის მოშლა, უშვილობა.

***– ეს დაავადება იკურნება?***

– თუ არის ჰიპოთირეოზი აუტოიმუნური გენეზის, ეს არის ქრონიკული დაავადება და მედიკამენტს მუდმივად იღებენ ადამიანები, მთელი ცხოვრების განმავლობაში, რომ დეფიციტი შეავსონ. ის უსაფრთხოა, არანაირი გვერდითი ეფექტები და უკუჩვენებები არ აქვს და ორსულებშიც თამამად ინიშნება.

თირეოტოქსიკოზს რაც შეეხება, ე.წ. შხამიანი ჩიყვი ხშირად ოპერაციულ ჩარევას საჭიროებს. როცა ჰორმონების სიხშირეს სისხლში მოვუწესრიგებთ ხოლმე პაციენტს, ვურჩევთ ოპერაციას.

***– ვინ არიან რისკ ჯგუფში?***

– რისკ ჯგუფშია ნებისმიერი ადამიანი, ვინც ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე. ადრე იყო მხოლოდ სვანეთში, რაჭაში, მაღალმთიან რეგიონებში, ახლა მთელ საქართველოშია იოდის დეფიციტი. უფრო მეტად რისკ ჯგუფში შედიან გარდატეხის ასაკის მოზარდები, ორსულები და ხანდაზმული ადამიანები. რადგან საქართველოში იოდდეფიციტია, პროფილაქტიკურად ყველას ვურჩევ ფარისებრი ჯირკვლის ექოსკოპია ჩაიტაროს და სისხლში თიესეიჩი გამოიკვლოს, ეს სკრინინგის თვალსაზრისით, რომ გამოვლინდეს, აქვთ თუ არა რაიმე პრობლემა. ეს კვლევა თუ არასდროს გაუკეთებია, ცხოვრებაში ერთხელ მაინც გაიკეთოს, რადგან თუ რამე გამოვლინდება, შემდეგ ექიმს მიმართონ.

***– როგორ შევავსოთ იოდდეფიციტი?***

– მოვიხმაროთ იოდიზირებული მარილი და დიდი რაოდენობით ის პროდუქტები, რომელიც იოდს შეიცავს.



## სამხრეთ ამერიკის თასის გამარჯვებულის წოდება შაპეკოენსეს მიანიჭეს

მოარულად გავრცელებული ინფორმაცია უკვე დადასტურდა და ცნობილი გახდა, რომ სამხრეთ ამერიკის თასის გამარჯვებული შაპეკოენსე გახდა. კლუბის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ივან ტოცომ განაცხადა, რომ ჯილდოს საკითხი გადაწყვეტილია:

– კონმებოლმა დაადასტურა, რომ შაპეკოენსე თასის გამარჯვებული გახდება. კლუბი საპრიზო 2 მილიონ დოლარს მიიღებს. ყველაფერი გადაწყვეტილია. არ ვიცი, იქნება თუ არა დაჯილდოების ცერემონია. ახლა ჩვენ ვიღებთ ყველა ფედერაციის მხარდაჭერას ფიფას ჩათვლით. განსაკუთრებით მადლიერები ვართ ქალაქის მოსახლეობის. შაპეკოენსე გუნდის გარდაქმნას იწყებს. ხალხს ფეხბურთი სჭირდება, მათ უყვართ ფეხბურთი და ამიტომ ვერ გავჩერდებით.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიური კლუბი სამხრეთ ამერიკის თასის ფინალური მატჩის გასამართად მიფრინავდა, მაგრამ ავიაკატასტროფის შედეგად თითქმის მთელი გუნდი ტრაგიკულად დაიღუპა. ატლეტიკო ნასიონალთან ფინალური მატჩი 30 ნოემბერს უნდა შემდგარიყო.

ავიაკატასტროფის შემდეგ ატლეტიკო ნასიონალმა პირველმა შესთავაზა ორგანიზატორებს, რომ სამხრეთ ამერიკის თასი ბრაზილიური გუნდისთვის მიეკუთვნებინათ.

## მანჩესტერს ხამესი სურს, რეალი საპასუხოდ მარსიალს ითხოვს

ბრიტანული გამოცემები საინტერესო ინფორმაციას გვამცნობენ – მანჩესტერ იუნაიტედს მადრიდის რეალიდან ხამეს როდრიგესის დამატება სურს. საპასუხოდ, რეალი შემხვედრ წინადადებას ამზადებს.

მოგეხსენებათ, ხამეს როდრიგესის ირგვლივ დიდი აჟიოტაჟია ატეხილი და კოლუმბიელს მადრიდან წასვლას უწინასწარმეტყველებენ. კოლუმბიელი ფეხბურთელი ზინედინ ზიდანის ნდობით აღჭურვილი ფეხბურთელი ვერა და ვერ გახდა.

ინგლისური მედიის ინფორმაციით კი, მადრიდელი „ათიანის" შეძენა მანჩესტერ იუნაიტედს სურს. რეალი მოლაპარაკებებზე წასვლას აპირებს, მაგრამ სანაცვლოდ ენტონი მარსიალის დამატება სურს. ამასთანავე ვრცელდება ინფორმაცია, რომ მადრიდული მხარე მზად არის, ხამესი 2017 წლის ზაფხულში დათმოს, მარსიალი კი 2018 წლამდე იუნაიტედში დატოვოს, რადგან დედაქალაქელებს



ახალი ფეხბურთელის შეძენის უფლება სანქციების გამო არ აქვთ. გამოდის, რომ იუნაიტედი ხამესს ერთი წლით უფასოდ წაიყვანს, 2018 წელს კი ფრანგ წინახაზელს დათმობს.

სპორტი

## რუმენიგე: „ბაიერნი გვარდიოლას დროს საუკეთესოდ თამაშობდა"



მიუნხენის ბაიერნის გენერალურმა დირექტორმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ საკმაოდ საინტერესო მოსაზრება გამოთქვა რომლის თანახმადაც, რეკორდმაისტერი ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს პეპ გვარდიოლას თავკაცობის დროს აჩვენებდა.

კატალონიელი მწვრთნელი ბაიერნს 3 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა (2013-16), რომლის დროსაც ბავარიულმა გრანდმა არაერთი რეკორდი დაამხო. სწორედ გვარდიოლას თავკაცობის დროს მოახერხა ბაიერნმა ზედიზედ 4-ჯერ გერმანიის ჩემპიონატის მოგება, რაც მანამდე არავის გაუკეთებია.

ერთადერთი ტურნირი, რომელზეც ესპანელს ხელი მოეცარა, ჩემპიონთა ლიგა გახლდათ, მისი სამივე მცდელობა წარუმატებელი გამოდგა. პირველ შემთხვევაში ბაიერნი ნახევარფინალური ეტაპიდან მადრიდის რეალმა გამოთიშა, მეორედ ეს ბარსელონამ შეძლო, ხოლო მესამედ – მადრიდის ატლეტიკომ.

მიუხედავად იმისა, რომ ბაიერნმა კატალონიელი სპეციალისტის დროს ჩემპიონთა ლიგის მოგება ვერ მოახერხა, კარლ-ჰაინც რუმენიგე მისი მოღვაწეობით მაინც კმაყოფილია. კალეს განცხადებით, გერმანული კლუბი გამორჩეულად პეპ გვარდიოლას მწვრთნელობის პერიოდში თამაშობდა.

– ბაიერნი ყველაზე კარგად გვარდიოლას თავკაცობის დროს თამაშობდა. ჩვენ ყოველთვის წარმატებულები ვიყავით, თუმცა ისე სანახაობრივად იშვიათად ვთამაშობდით, როდესაც პეპის გუნდი სათამაშოდ გამოდიოდა, ყოველთვის აღტაცებულები ვიყავით. ჩემი აზრით, მან ბაიერნში დიდებული მემკვიდრეობა დატოვა.

შეგახსენებთ, რომ კატალონიელმა სპეციალისტმა მიუნხენული კლუბი გასული სეზონის დასრულების შემდეგ დატოვა და მანჩესტერ სიტის მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაინიშნა.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## ასტროპროგნოზი
### 6 დეკემბრისათვის



**ვერძი** – ფინანსური მდგომარეობა გიუარესდებათ. მომავალი ერთობ ბუნდოვანია. მოსალოდნელია კონფლიქტი ნათესავებთან და მეგობრებთან. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა დაფიქრებისათვის. მობილიზებული ხართ ფილოსოფიური აზროვნებისათვის. **ტყუპები** – ცდუნებას არ აჰყვეთ. ნუ გადაიღლებით. პარტნიორების მხარდაჭერის იმედი მაინცდამაინც ნუ გექნებათ. **კირჩხიბი** – მეგობრებთან შეხვედრა გაგახარებთ, მაგრამ ზომიერება დაიცავით. ზედმეტად არ გადაიღალოთ. ბუნების წიაღში განმარტოება სასიკეთოდ წაგადგებათ. **ლომი** – საყიდლებზე წასვლა არ არის სასურველი. ფინანსურად არასტაბილური მდგომარეობა გაქვთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. **ქალწული** – მცირედი სიძნელეები ნუ შეგაშინებთ. არ გარისკოთ. საქმიანი პარტნიორები მახეს გიგებენ. **სასწორი** – ეცადეთ, ჯანმრთელობა გაიუმჯობესოთ, ორგანიზმი გაიკაჟოთ. ზედმეტად ნურავის მიენდობით. **ღრიანკალი** – ნებისმიერი საქმის შესასრულებლად კეთილისმყოფელი დღეა. დიდი ხნის ნატვრა გისრულდებათ და თავს ბედნიერად გრძნობთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ გარშემომყოფებთან კონფლიქტს. ინტიმურ სფეროში სირთულეებია მოსალოდნელი. **თხის რქა** – ვარსკვლავების განლაგება თქვენ მიმართ არაკეთილგანწყობილია. ყველაფერში სიფრთხილე გამოიჩინეთ. დიდია ავადმყოფობისა და ტრავმის მიღების ალბათობა. **მერწყული** – მიუტევეთ, აპატიეთ. წყენას გულში ნუ ჩაიხვევთ. პროვოკაციებს არ წამოეგოთ. ეცადეთ, ოჯახის წევრებს მეტი ყურადღება დაუთმოთ. **თევზები** – აქტიურობის პერიოდი გაქვთ. გააანალიზეთ პრობლემების მიზეზები და შეეცადეთ მათ აღმოფხვრას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 2. ქუთაისური ლუდი; 3. მე-15 საუკუნის იტალიელი ფილოსოფოსი, სახელმწიფო მოღვაწე; 4. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 5. თურქეთის პარლამენტი; 8. პოლიციელთა მეტსახელი აშშ-ში; 9. ქართული ხალხური სუფრული სიმღერა; 10. უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტი; 12. ხეობა, მდინარე აფხაზეთში; 13. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან ვისკი; 15. თბილისის მმართველი მეცხრე-მეთორმეტე საუკუნეებში.

**თარაზულად:** 1. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 4. ქართული მინიატურების ფუძემდებელი, იუმორისტული ჟანრის მსახიობი მამაკაცი; 7. პროფესიონალი ცხენოსანი; 10. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება; 11. სოკოების, ხავსების მიკროსკოპული ჩანასახი გამრავლებისთვის; 13. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 14. ჯარების მართვის ორგანო; 16. ძვირფასი ლითონი; 17. მარგანეცის საბადო ჭიათურის მახლობლად; 18. ფიგურული სახაზავი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. სექსტილიონი; 7. ნესტორი; 8. „ოლიმპია"; 9. პირატი; 13. „სილა"; 14. არხარი; 18. პენტაგონი; 19. პაუზა; 21. ბროლი; 22. ბინული; 23. ბირდაბირი; 24. პრინციპი.

**შვეულად:** 1. პელერინა; 2. ატლანტა; 3. გნომი; 4. ნექტარი; 5. ტოსტერი; 10. ფადიშაჰი; 11. კრიტერიუმი; 12. ტრუსტი; 15. სიამისენი; 16. ფრახტი; 17. ჰანტელი; 20. კრიჟი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. აგრესია; 2. „არგო"; 3. მარსი; 4. ირემი; 5. ერგი; 6. რიგა; 7. სქესი; 8. სექტორი; 9. ვალაბი; 10. ვენახი; 11. მისისიპი; 12. კიი; 13. გმირი; 14. ლიხი; 15. ეტა; 16. ლეგალური; 17. ირონია; 18. ისლი; 19. კანტატა; 20. როსტომ; 21. ელარჯი; 22. ნოტა; 23. ბატონი; 24. ტურა; 25. ალაჰი; 26. უმი; 27. შაირი; 28. ალეკ; 29. პარაშუტი; 30. რუ; 31. მსაჯი; 32. მარკიზი; 33. კუ; 34. იზაურა; 35. სი.

**სურათებზე:** ემი უაინჰაუსი; ტონი კროოსი.

# რატი ამაღლობელი კიდევ ერთი გადაცემის წამყვანია



პოეტი რატი ამაღლობელი კიდევ ერთი გადაცემის წამყვანი გახდა.

„სიტყვებით თამაშის“ შემდეგ, ის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში „კაცების დროს“ წაიყვანს.

მასთან ერთად გადაცემის წამყვანები ბლოგერი გურამ შეროზია და რეჟისორი ოთარ შამათავა იქნებიან.

გადაცემა ეთერში ყოველდღე გავა და სხვადასხვა სფეროში ცნობილი მამაკაცები აქტუალურ თემებს განიხილავენ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში „კაცების დროს“ სარეკლამო რგოლები უკვე გამოჩნდა.

# თბილისის სიმფონიური ორკესტრი რუსთაველის იუბილეს ისრაელში აღნიშნავს





თბილისის სიმფონიური ორკესტრი და საქართველოს სახელმწიფო კაპელა შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს ისრაელში აღნიშნავს.

6 დეკემბერს ისინი მიემგზავრებიან საგასტროლოდ ისრაელში, სადაც გაიმართება 3 კონცერტი ჰერცლიაში, აშდოდსა და იერუსალიმში.

7 და 8 დეკემბერს ჰერცლიასა და აშდოდში ორკესტრს უდირიჟორებს ვახტანგ კახიძე, ხოლო სოლისტი იქნება გიორგი მიქაძე. 10 დეკემბერს კი, იერუსალიმში აღნიშნება შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილე, სადაც შესრულდება მოცარტის „რექვიემი“ და ამ კონცერტს უდირიჟორებს ამოს ტალმონი ისრაელიდან.

# გირშელ ჯავახიშვილი გარდაიცვალა



„ვანოს შოუს“ მუსიკალური ბენდის ყოფილი მუსიკოსი გირშელ ჯავახიშვილი 35 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ის „ვანოს შოუში“ რამდენიმე წლის განმავლობაში ბენდთან ერთად უკრავდა. გირშელი საქართველოდან ამერიკაში 6 წლის წინ კარიერის გასაგრძელებლად წავიდა. მას ექიმებმა სიმსივნე, ძვლის კიბო დაუდგინეს. კოლეგის დასახმარებლად ქართველმა ხელოვანებმა საქველმოქმედო კონცერტები და გამოფენა-გაყიდვები ჩაატარეს.

გირშელმა ქიმიოთერაპიის კურსები ჩაიტარა, თუმცა დაავადება გაურთულდა და მისი გადარჩენა ექიმებმა ვერ შეძლეს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

